დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის - ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **ქეთევან ბოტკოველი**
წევრები:

1. რუსუდან უსტიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ნინო ჭაუჭიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ნონა ხომასურიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის - ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	243914617

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქარელის მუნიციპალიტეტი, ქარელი, ვარძელაშვილის ქუჩა 87
ფაქტობრივი მისამართი	ქარელი, ვარძელაშვილის ქუჩა 87
საფოსტო ინდექსი	4500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.gimnazia.edu.ge.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	g.mtacmindeli@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0369 231553 599275577

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 26 0000475753; 24/04/2026;
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 20 და 21 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო

				პროგრამის განხორციელების ადგილი
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, ქარელი, ვარძელაშვილის ქუჩა 87
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, ქარელი, ვარძელაშვილის ქუჩა 87
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, ქარელი, ვარძელაშვილის ქუჩა 87

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2026 წლის **24 აპრილის MES 4 26 0000475753** ბრძანების საფუძველზე (ცვლილება შევიდა ბრძანებით **N241845, 27.02.2026),** ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს: (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); წევრები - რუსუდან უსტიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ნინო ჭაუჭიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ნონა ხომასურიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი) დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება **ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის -ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის** (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები). ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს, **2026 წლის 20 და 21 მაისს** ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Teams) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. შეხვედრამ პოზიტიურ, კეთილგანწყობილ გარემოში ჩაიარა, ექსპერტებმა მასწავლებლებს მისცეს საქმიანი, კონსტრუქციული უკუკავშირი, ზოგიერთი საგნობრივი ექსპერტისგან მიიღეს რჩევა კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიზნით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და საგნობრივ ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული დოკუმენტების და მტკიცებულებების წარმოდგენა. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
250	218	*300*

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გიმნაზია მრავალწლიანი გამოცდილების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც გამოირჩევა როგორც აკადემიური მიღწევებით, ისე სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ და ინტელექტუალურ პროექტებში. გიმნაზიაში შექმნილია ხარისხიან განათლებაზე, ეროვნულ ღირებულებებსა და მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოზე დაფუძნებული სასწავლო სივრცე.

სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს კურსდამთავრებულთა მაღალი აკადემიური შედეგები. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა წარმატებით აგრძელებს სწავლას უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში, მათ შორის მნიშვნელოვანი ნაწილი იღებს სახელმწიფო დაფინანსებას. ასევე, გიმნაზიას ჰყავს არაერთი მედალოსანი მოსწავლე, რაც სასწავლო პროცესის ხარისხსა და მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მიუთითებს.

გიმნაზიის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში, ინტელექტუალურ თამაშებში, დებატებში, შემოქმედებით კონკურსებსა და სამეცნიერო კონფერენციებში. მოსწავლეთა მიღწევები უკავშირდება როგორც აკადემიურ, ისე კულტურულ, გარემოსდაცვით და სამოქალაქო მიმართულებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია წარმატებები ინტელექტუალურ თამაშებში, ესეების, კვლევითი ნაშრომებისა და პროექტების კონკურსებში.

გიმნაზიის არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული მოგზაურობები და სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები ქმნის მრავალფეროვან გამოცდილებას, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო, ქვეყნის შიდა და კულტურულ-საგანმანათლებლო ვიზიტებს.

საერთაშორისო მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლეთა მოგზაურობა ტაო კლარჯეთში, საბერძნეთში (2023 წლის 18–23 ივლისი), სადაც მათ მოილოცეს წმინდა ადგილები, გაეცნენ ბერძნულ კულტურასა და ისტორიულ მემკვიდრეობას. ამ გამოცდილებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა მოსწავლეთა ისტორიული თვალსაწიერი, გააძლიერა სულიერი ღირებულებების გააზრება და ხელი შეუწყო გუნდური ურთიერთობების განვითარებას. ასევე მნიშვნელოვანია კვიპროსში განხორციელებული ექსკურსია (2024 წლის ივნისი), რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა მოილოცეს წმინდა ადგილები და გაეცნენ უცხო ქვეყნის კულტურას, რამაც ხელი შეუწყო მათი სოციალური უნარების განვითარებას და კულტურათაშორისი კომუნიკაციის გაღრმავებას. განსაკუთრებულად მასშტაბური იყო რომში მოგზაურობა (2025 წლის 2–7 ივნისი), სადაც მოსწავლეებმა დაათვალიერეს ვატიკანი, წმინდა პეტრეს ტაძარი, კატაკომბები, კოლიზეუმი, ესპანეთის მოედანი, პართენონი და სხვა ისტორიული ღირსშესანიშნაობები. ამ მოგზაურობამ მათ გაუღრმავა

ინტერესი ევროპული ცივილიზაციის, ხელოვნებისა და ქრისტიანული მემკვიდრეობის მიმართ და ხელი შეუწყო კულტურათა შედარებითი გააზრების უნარის ჩამოყალიბებას.

ქვეყნის შიდა ექსკურსიები მრავალფეროვანი, მიზნობრივი და შინაარსობრივად დატვირთულია. მოსწავლეები მონაწილეობდნენ კახეთში გამართულ სასწავლო-შემოქმედებით ექსკურსიაში (2026 წლის 30 იანვარი – 1 თებერვალი), რომლის ფარგლებში გაეცნენ რეგიონის ისტორიულ, კულტურულ და ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას, რაც ეროვნული იდენტობის, კულტურული თვითშეგნებისა და ტრადიციების გააზრებას უწყობს ხელს. მცხეთა-მთიანეთის მიმართულებით განხორციელებულმა საგანმანათლებლო ტურმა, მათ შორის ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის მონახულებამ, გააძლიერა მოსწავლეთა პატრიოტული ღირებულებები, ლიტერატურული ცნობიერება და კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესის ზრდა.

გიმნაზიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს თბილი, ოჯახური და კეთილგანწყობილი გარემო, რომელიც ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობისა და მხარდაჭერის კულტურაზეა დაფუძნებული. აღნიშნულის დასტურია ისიც, რომ 2025-2026 სასწავლო წელს გიმნაზიამ განსაკუთრებული წარმატების მქონე, ოქროსმედალოსანი მე-12 კლასის მოსწავლე დააჯილდოვა ერთკვირიანი საგზურით მონტენეგროში, რაც მოსწავლეთა მიღწევების აღიარებისა და წახალისების ეფექტიან პრაქტიკად შეიძლება შეფასდეს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი საფეხური*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	გიმნაზია უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთ შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვ გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობ შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მი	1. გიმნაზიამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 სექტემბრამდე (მეტწილი შესაბამისობა). 2. გიმნაზიამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეთანხმებული - საევაკუაციო გეგმის მიღება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 სექტემბრამდე (მეტწილი შესაბამისობა). 3. გიმნაზიამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი დასკვნის მოპოვება შესაბამისობის

	გაცემული შენობის ექსპლუატაციი უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტ მიერ გაცემული წერილობითი დასტურ (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობი დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლ დაწესებულების შემთხვევაში);	გეგმით განსაზღვრულ ვადაში – 2028 წლის 13 ივნისამდე (ნაწილობრივ შესაბამისობა). 4. გიმნაზიამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა გამწოვი კარადით, აგრეთვე სადემონსტრაციო და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სამუშაო მაგიდით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში = 2026 წლის 15 სექტემბრამდე (მეტწილი შესაბამისობა).
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N.1.2.1.2	**სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**	სასურველია სტრატეგიული გეგმის მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად, გაზომვადად და შედეგზე ორიენტირებულად SMART პრინციპის შესაბამისად; ამოცანები გაიმიჯნოს აქტივობებისგან; SWOT-ანალიზში გამოვლენილი სუსტი მხარეები და საფრთხეები უფრო მკაფიოდ აისახოს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებში. სასურველია, სტრატეგიულ გეგმაში უფრო ოპერაციულ დონეზე აისახოს მისიისა და ხედვის ძირითადი პრიორიტეტები - განსაკუთრებით STEAM განათლების, ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების მიმართულება.

ინდიკატორი N.1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სასურველია, სტრატეგიულ გეგმაში მისიისა და ხედვის ძირითადი პრიორიტეტები უფრო ოპერაციულ დონეზე იყოს ასახული, განსაკუთრებით STEAM განათლების, ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით, რათა მათი პრაქტიკული განხორციელება უფრო მკაფიოდ იკვეთებოდეს.
ინდიკატორი N.1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სასურველია, სამოქმედო გეგმაში რესურსები უფრო სტრუქტურირებულად იყოს გაწერილი და დაიყოს ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ ნაწილებად. ასეთი დაყოფა უზრუნველყოფს რესურსების უფრო მკაფიო იდენტიფიცირებას, დაგეგმვის გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების უკეთ განაწილებას. ამასთან, ის აადვილებს საჭიროებების ზუსტ შეფასებასა და შესრულების მონიტორინგს, რაც გეგმის ეფექტიან განხორციელებას უწყობს ხელს.
ინდიკატორი N.1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, გიმნაზია ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სასურველია, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი დაეფუძნოს მეტად სტრუქტურირებულ, ინდიკატორებზე დაფუძნებულ და მტკიცებულებებით გამყარებულ მიდგომას. განისაზღვროს კონკრეტული, გაზომვადი ინდიკატორები, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენს შესრულებული საქმიანობის შედეგებსა და ეფექტიანობას. მნიშვნელოვანია, ანგარიშში აისახოს არა მხოლოდ განხორციელებული აქტივობის ფაქტი, არამედ მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედეგებიც - მაგალითად, რამდენი გაკვეთილი მოისმინა ადმინისტრაციამ ან ხარისხის მართვის ჯგუფმა, რამდენი მოსწავლე ჩაერთო კონკრეტულ ღონისძიებაში, რა შედეგები გამოიკვეთა და როგორ შეფასდა განხორციელებული აქტივობის ეფექტიანობა. მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მეტად სისტემური წარმართვისთვის ასევე სასურველია გამოყენებულ იქნას შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, როგორიცაა კითხვარები, ანკეტები, დაკვირვების ფორმები, რეფლექსიის დოკუმენტები, ინტერვიუები და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. აღნიშნული ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და ობიექტურ განხორციელებას.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი N3.3.1.1.	**სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**	სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რომელი სასკოლო საქმიანობის კონკრეტული ასპექტები ექვემდებარება შეფასებას, რა პერიოდულობით უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროცედურები, რა თანმიმდევრობით წარიმართოს პროცესები, რომელი ინსტრუმენტები უნდა იქნას გამოყენებული და ვინ არის პასუხისმგებელი თითოეული ეტაპის შესრულებაზე. აღნიშნული დეტალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდის პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. ასევე სასურველია, რომ დოკუმენტში აისახოს შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები - როგორ ხდება მონაცემების ანალიზი, რა ფორმით მიიღება გადაწყვეტილებები და როგორ აისახება ეს ცვლილებები სკოლის შემდგომ საქმიანობაზე. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ციკლის სრულყოფილ ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას.
ინდიკატორი N3.3.1.3.	**გიმნაზიაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**	სასურველია შიდასასკოლო გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმის უფრო დეტალური ნორმატიული რეგლამენტაცია, მათ შორის ეტაპების, ვადების და პასუხისმგებელი ორგანოების მკაფიოდ განსაზღვრა. აღნიშნული გააძლიერებს გადაწყვეტილებების გადახედვის შესაძლებლობას, გაზრდის პროცესის ობიექტურობას და კიდევ უფრო გაამყარებს დაინტერესებულ პირთა ნდობას არსებული სისტემის მიმართ.
ინდიკატორი N3.4.1.1.	**გიმნაზია უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ -**	გიმნაზიას მიეცა რჩევა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით

	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.4.1.8	გიმნაზია ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	რჩევა - სასურველია სამომავლოდ განხორციელდეს მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა უსაფრთხოებისა და სასკოლო გარემოს შეფასების მიმართულებით, რათა მიღებული უკუკავშირი გამოყენებულ იქნეს უსაფრთხოების მექანიზმებისა და პროცესების შემდგომი გაუმჯობესებისთვის.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *ყველა საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორიN2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სამივე საფეხურზე *ბუნებისმეტყველება* სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს საგანთა ინტეგრირების პროცესს, ხოლო შემაჯამებელი დავალებების ტიპები შერჩეული იყოს იმგვარად, რომ მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. *საზოგადოებრივი მეცნიერებები*

		სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში შემოქმედებითი ტიპის დავალებები უფრო მეტი მუშავდებოდეს ყველა თემის ფარგლებში. სასურველია, მე-10 კლასის მოქალაქეობის საგნის კურიკულუმის შემდგომი დახვეწის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემები. კერძოდ, მიზანშეწონილია კურიკულუმში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს თემები – „გლობალური მოქალაქეობა“ და „სამართლებრივი კულტურა“, ხოლო არსებული საკითხები შესაბამისი შინაარსობრივი კავშირების გათვალისწინებით გადანაწილდეს აღნიშნული თემების ფარგლებში. ამასთან, სასურველია, კათედრამ განიხილოს ერთიანი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავების შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების სტრუქტურულ და შინაარსობრივ თანმიმდევრულობას, საერთო მიდგომების გაზიარებასა და შეფასების პრინციპების ერთგვაროვან განხორციელებას. *სახელმწიფო ენა* **სამივე საფეხურზე** მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების გასააქტიურებლად, მეტი ყურადღება დაეთმოს: ა) საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს; ბ)პროექტულ სწავლებას. მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ შესაბამისი კონტექსტმაგალითებით.
ინდიკატორიN2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზრვრულ მიზნებს**	*სახელმწიფო ენა* **დაწყებით საფეხურზე**

		სასურველია, ქართული ენისა და ლიტერატურის (II კლასი) კურიკულუმში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს, თუ კონკრეტული დავალებით რომელი სამიზნე ცნება მუშავდება, ასევე შესაბამისი სამიზნე ცნების ქვეცნებები. აღნიშნული ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და მოსწავლეთა მიღწევების მიზნობრივ შეფასებას. **სამივე საფეხურზე** ამასთან, სასურველია კათედრამ კურიკულუმების შემუშავებისას იხელმძღვანელოს ერთიანი ჩარჩოთი, რაც უზრუნველყოფს სტრუქტურულ თანმიმდევრულობას. სასურველია, კურიკულუმის თითოეული სვეტით გათვალისწინებული ინფორმაცია სრულად და შინაარსობრივად იყოს წარმოდგენილი, სასწავლო თემების ფარგლებში აისახოს სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნებები, დაზუსტდეს შესაბამისი ქვეცნებები და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად განსაზღვრული საკითხები. ასევე, სასურველია, არჩევითი საგნის – მედავითნეობის კურიკულუმებში სწავლების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ და გაზომვადად, რაც გააადვილებს მათი მიღწევის შეფასებასა და სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას.
ინდიკატორიN2.1.2.3	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრინველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	*ესთეტიკური აღზრდა* **სამივე საფეხურზე** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმის შემუშავებისას გადამოწმდეს მითითებული ელექტრონული ბმულების/ლინკების ფუნქციურობა და ვალიდურობა; მუსიკის საგანში თითოეული რესურსი სასურველია დაკონკრეტდეს შინაარსობრივი მახასიათებლების მიხედვით; მაგალითად, ზოგადი მითითების ნაცვლად - „სამინისტროს რესურსი“ - მიეთითოს კონკრეტული დასახელება, ავტორი, პლატფორმა და პირდაპირი ბმული; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/მუსიკის საგანში სასურველია თემატური ბლოკის/თემის/საკითხის დამუშავებისას მაქსიმალურად გამოიყენოს ლოკალური კულტურული მემკვიდრეობა, რაც სწავლის პროცესს უფრო შემეცნებით, ემოციურსა და დასამახსოვრებელს გახდის.

		სახელმწიფო ენა **სამივე საფეხურზე** სასურველია, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების და საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ. რესურსების (ანიმაციების, ფილმების, პოდკასტების) გამოყენებაზე კონტექსტური პარალელებისთვის დამატებით უცხოური და ქართული ლიტერატურის შეთავაზება. რესურსის, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში(საბაზო,საშუალო). *მათემატიკა* **საშუალო საფეხურზე,** მასწავლებლის მიერ მითითებული დამხმარე რესურსებში, თუ გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან მითითებულია კონკრეტული გვერდი და თემა, რომლიც გამოიყენება კონკრეტული სამიზნე ცნებისთვის. ელექტრონული რესურსების უფრო აქტიური გამოყენება გახდის სწავლების პროცესს საინტერესოს და ეფექტურს. გაამახვილოს ყურადღება ელექტრონული რესურსების გადალახვაზე.
ინდიკატორი N2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **სამივე საფეხურზე** სასურველია ყველა საგანში შემუშავდეს ისეთი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მკაფიოდ იქნება დაკავშირებული გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან და მოსწავლეთა საკვანძო კომპეტენციების განვითარებასთან. ასევე სასურველია, შეფასების კრიტერიუმები წინასწარ გაეცნოთ მოსწავლეებს, რათა მათ უკეთ გაიაზრონ სასწავლო მოლოდინები, საკუთარი პასუხისმგებლობა და პროგრესის შეფასების შესაძლებლობები. ასევე, სასურველია განმავითარებელი შეფასების ფარგლებში მიწოდებული უკუკავშირი იყოს კონკრეტული, კონსტრუქციული, დროული და

		ქმედებაზე ორიენტირებული, რაც მოსწავლეებს დაეხმარება რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენებასა და შემდგომი სწავლის გაუმჯობესებაში. *ესთეტიკური აღზრდა* სამივე საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში: ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, კურიკულუმში სასურველია აისახოს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ როგორ ადაპტირდება დავალებები სხვადასხვა აკადემიური საჭიროებისა და დონის მქონე მოსწავლეებისთვის; კურიკულუმის ფარგლებში თემისა თუ საკითხის დამუშავებისას, შუალედური სასწავლო მიზნები სასურველია შეირჩეს და ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; *სახელმწიფო ენა* სამივე საფეხურზე სასურველია, სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება;
ინდიკატორიN2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* სამივე საფეხურზე სასურველია, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით. *ესთეტიკური აღზრდა*

		სამივე საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში: სასურველია შეფასების კრიტერიუმები უფრო გაზომვადი გახდეს- ზოგიერთ ადგილას კრიტერიუმები ძალიან ზოგადია, მაგალითად, ,,აქტიურობა“ , ,,დროის ლიმიტის დაცვა“, ,,ჩართულობა“ , უმჯობესია დაზუსტდეს საგნობრივი სტანდარტის, თემის, საკითხის, სამიზნე ცნებების საფუძველზე; სასურველია, შეიქმნას და გამრავალფეროვნდეს რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული თემის/საკითხის/კომპლექსური/ შუალედური დავალების სამიზნე ცნებების/ქვეცნებების საფუძველზე, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები; სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს; სასურველია, გიმნაზიამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით; სასურველია შემაჯამებელი დავალებები მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას(დეკლარატიულს, პროცედურულს და პირობისეულს). ***სახელმწიფო ენა*** **სამივე საფეხურზე** სასურველია, კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკებით.
ინდიკატორიN2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***ესთეტიკური აღზრდა*** **სამივე საფეხურზე** **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში:**

		სასურველია შესთავაზოთ მოსწავლეებს არჩევანი შემოქმედებითი დავალების პროდუქტის სახეობაში (მაგ: ესსე, პოსტერი, ციფრული პრეზენტაცია და სხვ.), რათა მათ საკუთარი შესაძლებლობების საუკეთესოდ რეალიზება შეძლონ; დავალების პირობა სასურველია მაქსიმალურად მიუახლოვდეს მოსწავლის რეალურ ცხოვრებას. მაგალითად, ეპოქის სწავლისას, რესურსად გამოიყენოს ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატი ან სოფლის/ქალაქის მატერიალური/არამატერიალური კულტურის ძეგლები და სხვ.
ინდიკატორიN2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **სამივე საფეხურზე** სასურველია თუ მასწავლებლები სასწავლო პროცესში უფრო ატიურად დანერგავენ ურთიერთდასწრების და ურთიერთშეფასების პრაქტიკას. ***ესთეტიკური აღზრდა*** **სამივე საფეხურზე** სასურველია, შემუშავდეს თემის/ საკითხის/ შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს; სასურველია შეფასება ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს; შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი. ***სახელმწიფო ენა*** **სამივე საფეხურზე**

		კათედრაზე სასურველია, შემაჯამებელ დავალებათა მიზანი გაიწეროს სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში; შეფასების რუბრიკებში (20 ქულიანი) დაზუსტდეს ქულის დაკონვერტირების ინსტრუქცია; საფუძვლიანი უკუკავშირის მიზნით, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული შეფასების ზოგადი რუბრიკები, კონკრეტული სასწავლო მასალით დაზუსტდეს.
ინდიკატორიN2.2.2.1	**კურიკულუმით განსაზღვრული ზირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	***ესთეტიკური აღზრდა*** **სამივე საფეხურზე** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში: სასურველია პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ყველა ელექტრონული ბმულის ფუნქციურობა; სასურველია შეიქმნას „ალტერნატიული რესურსების ბაზა“, რათა ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში გაკვეთილის/შუალედური დავალების აქტივობის დინამიკა არ დაირღვეს; ნებისმიერი დამატებითი რესურსი (ვიდეო, ფოტო, სტატია) სასურველია უკავშირდებოდეს სამიზნე ცნების კონკრეტულ ქვეცნებას. ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** **სამივე საფეხურზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სასურველია, „მე და საზოგადოების“ და გეოგრაფიის კურიკულუმებში (საბაზო და საშუალო საფეხურზე) მკაფიოდ მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და გამოვლინდა ინტერვიუს დროს. აღნიშნული გააუმჯობესებს კურიკულუმის პრაქტიკულობას და ხელს შეუწყობს რესურსების გააზრებულ გამოყენებას სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი N2.2.2.2	**გიმნაზია უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლორესურსების ვალიდაციას**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

		სამივე საფეხურზე გიმნაზიას შეუძლია შექმნას მექანიზმი, რომლის საფუძველზეც შეფასდება რესურსების სანდოობა, შინაარსობრივი შესაბამისობა და ასაკობრივი ადეკვატურობა. მსგავსი დოკუმენტის არსებობა გაზრდის პროცესის გამჭვირვალობას.
ინდიკატორიN2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **სამივე საფეხურზე** ლაბორატორიის სივრცის კეთილმოწყობა უსაფრთხოების წესების დაცვით, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების-ჩვევების განვითარებას, მათ მოტივაციის ამაღლებასა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

მისია - გიმნაზია ქმნის სწავლისათვის მასტიმულირებელ გარემოს, რათა ქრისტიანულ ღირებულებებზე დაყრდნობით, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, აღზარდოს ინტელექტუალურად განვითარებული, თავისუფლად მოაზროვნე, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი ჯანსაღი თაობა, რომელიც თავის პოტენციალს მოახმარს ეროვნულ მიზნებს.

ხედვა - გიმნაზია აღზრდის თაობებს, რომელებიც ქრისტიანული ღირებულებებისა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით იქნებიან აღჭურვილნი. ისინი პატივს სცემენ მართლმადიდებლურ ტრადიციებს, იამაყებენ თავიანთი ფესვებით და ერთგულად ემსახურებიან სამშობლოს. 5-7 წელიწადში ჩვენი გიმნაზია იქნება STEAM განათლების ლიდერი, რომელიც აღზრდის ახალგაზრდა ინოვატორთა თაობას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნის ტექნოლოგიურ წინსვლას. გიმნაზია შექმნის არაფორმალური განათლების სივრცეს, სადაც ქრისტიანული ფასეულობები, კულტურა და მოგზაურობა ერთმანეთს ხვდება. 2030 წლისთვის ჩვენი გიმნაზია იქნება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც აღჭურვილი იქნება უახლესი ინფრასტრუქტურითა და ტექნოლოგიებით, ეს მოგვცემს საშუალებას მივაღწიოთ მოსწავლეთა რაოდენობის ოპტიმალურ ზღვარს 350 მოსწავლეს და უზრუნველვყოთ თითოეული მათგანისათვის მაღალი ხარისხისა და ინდივიდუალურ საჭიროებზე მორგებული განათლების მიღების შესაძლებლობა.

ძირითადი ღირებულებელი:

- **ცოდნისკენ სწრაფვა და ინოვაცია:**

გიმნაზია აფასებს მუდმივ სწავლას, ცოდნის გაღრმავებას და ახალი იდეების ძიებას. ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებითობას და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.

- **სულიერი და ეროვნული ფასეულობები:**

გიმნაზია უზრუნველყოფს მოსწავლეებში ქრისტიანული ღირებულებების, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების პატივისცემასა და დაცვას. ხელს უწყობს მათ ჩამოყალიბებას პასუხისმგებლიან და ზნეობრივ პიროვნებებად.

- **სამშობლოს სიყვარული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა:**

გიმნაზია აღზრდის მოსწავლეებს სამშობლოს სიყვარულისა და მოქალაქეობრივი გრძნობით. ასწავლის მათ საზოგადოებაში აქტიურ მონაწილეობას და საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის განვითარებაში.

- **პიროვნული განვითარება:**

გიმნაზია ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას, მათი ნიჭისა და პოტენციალის გამოვლენას.

- **თანამშრომლობა და პარტნიორობა:**

გიმნაზია აფასებს თანამშრომლობას მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და საზოგადოებას შორის.

- **პროფესიონალიზმი და ეთიკა:**

გიმნაზია უზრუნველყოფს მაღალი პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვას.

გიმნაზიის მისიის, ხედვისა და ძირითადი ღირებულებების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი მნიშვნელოვანწილად შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ასახავს თანამედროვე განათლების ძირითად პრინციპებს.
მისიაში ხაზგასმულია მოსწავლის ინტელექტუალური განვითარება, თავისუფალი აზროვნება, სამართლიანობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი და კონკურენტუნარიანობა, რაც შეესაბამება ეროვნული მიზნების იმ ნაწილს, რომელიც ორიენტირებულია დამოუკიდებელი, პასუხისმგებლიანი და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდაზე. ასევე, ეროვნულ მიზნებთან თანხვედრაშია აქცენტი ეროვნული ინტერესების, სამშობლოს სამსახურისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე.
ხედვა აერთიანებს როგორც სულიერ და კულტურულ, ისე თანამედროვე საგანმანათლებლო მიმართულებებს. ქრისტიანული ღირებულებების, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების პატივისცემა შეესაბამება ეროვნული იდენტობის, კულტურული მრავალფეროვნებისა და ღირებულებითი განათლების მიზნებს. ამასთან, STEAM განათლების განვითარებაზე, ინოვაციებზე, ტექნოლოგიურ წინსვლასა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნაზე ორიენტაცია პასუხობს XXI საუკუნის უნარების განვითარების, ინოვაციური აზროვნებისა და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის პრიორიტეტებს.
გიმნაზიის ძირითადი ღირებულებები - ცოდნისკენ სწრაფვა, ინოვაცია, პიროვნული განვითარება, თანამშრომლობა, პროფესიონალიზმი და ეთიკა - ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებას, რაც სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.
ამასთან, მისია, ხედვა და ღირებულებები ქმნის საფუძველს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ორიენტირებულია როგორც აკადემიურ ხარისხზე, ისე მოსწავლის სულიერ, კულტურულ და პიროვნულ განვითარებაზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

გიმნაზიის მისია და ხედვა ნათლად განსაზღვრავს სკოლის როლს, როგორც უსაფრთხო, ღირებულებებზე დაფუძნებული და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის.
მისიაში ხაზგასმულია სწავლისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, ქრისტიანულ ღირებულებებზე დაფუძნებული აღზრდა, თავისუფალი აზროვნება, სამართლიანობა და ჯანსაღი თაობის ფორმირება, რაც ადასტურებს, რომ გიმნაზია ორიენტირებულია მოსწავლის როგორც აკადემიურ, ისე პიროვნულ და ზნეობრივ განვითარებაზე. ასევე, აქცენტი კონკურენტუნარიანობასა და ეროვნული მიზნების სამსახურზე აჩვენებს, რომ გიმნაზია საკუთარ ფუნქციას მხოლოდ ცოდნის გადაცემით არ შემოიფარგლება და მოსწავლის საზოგადოებრივ პასუხისმგებლობაზეც ზრუნავს.
ხედვა კიდევ უფრო გამოკვეთს გიმნაზიის სოციო-კულტურულ როლს. ქრისტიანული ღირებულებების, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების პატივისცემა, არაფორმალური განათლების სივრცის შექმნა, თანამშრომლობითი გარემოს განვითარება და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული განათლების უზრუნველყოფა ქმნის გარემოს, რომელიც ორიენტირებულია უსაფრთხო, მხარდამჭერ და მრავალმხრივ განვითარებაზე.

ამასთან, STEAM განათლების, ინოვაციების, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებები აჩვენებს, რომ გიმნაზია ცდილობს შექმნას თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცე, სადაც მოსწავლეებს ექნებათ როგორც აკადემიური, ისე სოციალური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა.
შესაბამისად, მისია და ხედვა სრულად ასახავს სკოლის როლს, როგორც უსაფრთხო, ღირებულებებზე დაფუძნებული და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

გიმნაზიის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი შემუშავდა გიმნაზიის რექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მიერ. შემუშავებული დოკუმენტი განსახილველად გადაეცა საგნობრივ კათედრებს და ასევე განხილულ იქნა პედაგოგიური საბჭოს ფარგლებში. აღნიშნული პროცესი ადასტურებს, რომ გიმნაზიის მისია, ხედვა და ღირებულებები ჩამოყალიბებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და თანამშრომლობით, რაც ხელს უწყობს მათი შინაარსის გაზიარებას, ერთიან გააზრებასა და პრაქტიკაში ეფექტიან განხორციელებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

გიმნაზიის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან სხვადასხვა ფორმით და აქტიურად არის ინტეგრირებული გიმნაზიის ყოველდღიურ საქმიანობაში. აღნიშნული საკითხები განხილულია საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს მასწავლებელთა ინფორმირებულობასა და საერთო მიდგომების ჩამოყალიბებას.
დამრიგებლების მიერ მისია, ხედვა და ღირებულებები გაცნობილია მოსწავლეებისა და მშობლებისთვის, მათ შორის სადამრიგებლო შეხვედრების, მშობელთა კრებებისა და ინდივიდუალური კომუნიკაციის პროცესში. ეს ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობასა და გიმნაზიის ძირითადი პრინციპების ერთიან გააზრებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მისია, ხედვა და ძირითადი ღირებულებები განთავსებულია გიმნაზიის თვალსაჩინო ადგილას - ფოიეში და გამოქვეყნებულია გიმნაზიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. აღნიშნული ხელს უწყობს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებას, ერთიან გააზრებასა და ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში მათ დამკვიდრებას.
ვებ-გვერდისა და შიდა საკომუნიკაციო მექანიზმების საშუალებით მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ მუდმივად გაეცნონ გიმნაზიის ძირითად პრიორიტეტებსა და განვითარების მიმართულებებს, რაც აძლიერებს გამჭვირვალობას, ჩართულობასა და საერთო პასუხისმგებლობის კულტურას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

გიმნაზიის სრული სახელწოდება - ა(ა)იპ - ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულება -საქართველოს საპატრიარქოს რუის-ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია - შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- რექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით;
- სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- გიმნაზიის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- ამონაწერი იურიდიული პირების რეესტრიდან;
- გიმნაიის წესდება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

წარმოდგენილი დოკუმენტის („სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ -დამტკიცებულია ა(ა)იპ - ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულება -საქართველოს საპატრიარქოს რუის-ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 26 აგვისტოს N2-51 ბრძანებით) სისტემური ანალიზი ადასტურებს, რომ გიმნაზიას გააჩნია სტრატეგიული მართვის მკაფიოდ სტრუქტურებული, ციკლური მეთოდოლოგია, რომელიც სრულად პასუხობს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნებს.

მეთოდოლოგიური ჩარჩო და დაგეგმვის ციკლი: დაწესებულების სტრატეგიული განვითარება ეფუძნება 7-წლიან (ხოლო სამოქმედო — 1-წლიან) ციკლს, რომლის ფარგლებშიც მეთოდოლოგიურად გამიჯნულია დაგეგმვის 5 ძირითადი ეტაპი (მისიის განსაზღვრიდან მულტიმხრივ შეფასებამდე). პროცესის ანალიტიკურ ვალიდურობას უზრუნველყოფს მასში SWOT ანალიზის ინტეგრირება და შიდა კვლევითი/სტატისტიკური მონაცემების (აკადემიური დინამიკა, ჩართულობის ინდექსები) სავალდებულო დამუშავება, რაც გამორიცხავს ფორმალურ, ინტუიციურ დაგეგმვას.

სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების ასახვის მექანიზმები: დოკუმენტი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების (ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები) ინტერესების გათვალისწინებას სამი ძირითადი ფილტრით:

1. **საწყისი ფაზა:** ინფორმაციისა და მოლოდინების პირველადი შეგროვება უშუალოდ სამიზნე ჯგუფებისგან (Bottom-up მიდგომა).
2. **ინსტიტუციური თანამონაწილეობა:** სტრატეგიული სამუშაო ჯგუფის მულტიფუნქციური ფორმატი, სადაც კათედრებისა და მშობელთა წარმომადგენლები უშუალოდ მონაწილეობენ დოკუმენტის დრაფტინგში.
3. **ვალიდაცია და უკუკავშირი:** დადგენილია პროექტის საჯაროობისა და ორმხრივი კომუნიკაციის (საინფორმაციო არხები, ღია განხილვები) სავალდებულო ქვეეტაპი, სადაც მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება გეგმის კორექტირება მის საბოლოო დამტკიცებამდე.

მოქნილობა და მდგრადობა: მეთოდოლოგია აღიარებს სტრატეგიული დოკუმენტების დინამიკურ ბუნებას და პირდაპირ უშვებს სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანას სასკოლო საზოგადოების მიმდინარე უკუკავშირის საფუძველზე.
ექსპერტული დასკვნა: წესი შინაარსობრივად და პროცედურულად აკავშირებს დაგეგმვის სამეცნიერო-ანალიტიკურ ინსტრუმენტებს (SWOT) დემოკრატიული, მონაწილეობითი მართვის მექანიზმებთან.
ინდიკატორი მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

გიმნაზიის სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის რექტორის მიერ, წარმოადგენს ციკლურ დოკუმენტს და ეფუძნება გიმნაზიის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიული გეგმის ანალიზი აჩვენებს, რომ დოკუმენტი მოიცავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ეფუძნება SWOT-ანალიზს და ასახავს როგორც საგანმანათლებლო, ისე ორგანიზაციული განვითარების პრიორიტეტებს. დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ გეგმა ორიენტირებულია სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე, უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერასა და ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდაზე. ასევე, დოკუმენტში იკვეთება სკოლის საჭიროებების წინასწარი ანალიზი და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება.
ამასთანავე, სტრატეგიული გეგმის ანალიზი აჩვენებს რამდენიმე მიმართულებას, რომელიც საჭიროებს დახვეწას. სტრატეგიულ მიზნებთან დაკავშირებული ამოცანების ნაწილი წარმოდგენილია ზოგადი და დეკლარაციული ფორმულირებებით და ნაკლებად ჰგავს კონკრეტულ, გაზომვად და შედეგზე ორიენტირებულ ამოცანებს. მაგალითად, ისეთი ჩანაწერები, როგორიცაა „სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება“, „სკოლის ცნობადობის გაზრდა“, „ციფრული განვითარების ხელშეწყობა“ ან „ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა“, უფრო მიმართულებას ან მიზანს გამოხატავს, ვიდრე კონკრეტულ ამოცანას. რიგ შემთხვევებში ამოცანები ფორმულირებულია როგორც აქტივობები და არა

როგორც შედეგზე ორიენტირებული ამოცანები - მაგალითად, „სამუშაო ჯგუფის შექმნა“ ან „ტრენინგები მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებული“ უფრო აქტივობის აღწერას წარმოადგენს.

მისია და ხედვა მკაფიოდ და ამბიციურად არის ფორმულირებული, თუმცა მათი ნაწილი სტრატეგიულ გეგმაში მხოლოდ ზოგადი ჩანაწერების დონეზეა ასახული. განსაკუთრებით ეს ეხება STEAM განათლების, ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების, არაფორმალური განათლებისა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სწავლების მიმართულებებს. მიუხედავად იმისა, რომ ხედვაში აღნიშნული საკითხები სკოლის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად არის წარმოდგენილი, სტრატეგიულ მიზნებში ისინი დამოუკიდებელ და მკაფიო მიმართულებებად ნაკლებად იკვეთება.

შესაბამისად, გიმნაზიას მიეცა რჩევები: სასურველია სტრატეგიული გეგმის მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად, გაზომვადად და შედეგზე ორიენტირებულად SMART პრინციპის შესაბამისად; ამოცანები გაიმიჯნოს აქტივობებისგან; SWOT-ანალიზში გამოვლენილი სუსტი მხარეები და საფრთხეები უფრო მკაფიოდ აისახოს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებში. სასურველია, სტრატეგიულ გეგმაში უფრო ოპერაციულ დონეზე აისახოს მისიისა და ხედვის ძირითადი პრიორიტეტები - განსაკუთრებით STEAM განათლების, ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების მიმართულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ძირითადად შესაბამისობაშია სკოლის სტრატეგიულ გეგმასთან და ასახავს მის ძირითად მიმართულებებს, როგორიცაა სასწავლო პროცესის მართვა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, მატერიალური რესურსების განვითარება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და მოსწავლეთა ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდა. სტრატეგიულ მიზნებსა და წლიურ აქტივობებს შორის ლოგიკური კავშირი უმეტეს შემთხვევაში იკვეთება.

გეგმის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ორგანიზაციულ და ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ინფრასტრუქტურის განვითარების, არაფორმალური განათლების მხარდაჭერისა და სკოლის ღირებულებებზე დაფუძნებული გარემოს შენარჩუნების მიმართულებები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე ჩანს, რომ გიმნაზია რეგულარულად აანალიზებს განხორციელებულ საქმიანობას და მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმავს შემდგომ სამოქმედო აქტივობებს.

ამ შემთხვევაშიც გიმნაზიას მიეცა რჩევები - სასურველია, რომ სტრატეგიულ გეგმაში მისიისა და ხედვის ძირითადი პრიორიტეტები უფრო ოპერაციულ დონეზე იყოს ასახული, განსაკუთრებით STEAM განათლების, ინოვაციური მიდგომებისა და ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით, რათა მათი პრაქტიკული განხორციელება უფრო მკაფიოდ იკვეთებოდეს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში იკვეთება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისი აქტივობები, განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები და ვადები, ასევე მითითებულია პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

გიმნაზიას მიეცა რჩევა - სასურველია, სამოქმედო გეგმაში რესურსები უფრო სტრუქტურირებულად იყოს გაწერილი და დაიყოს ადამიანურ, მატერიალურ და ფინანსურ ნაწილებად. ასეთი დაყოფა უზრუნველყოფს რესურსების უფრო მკაფიო იდენტიფიცირებას, დაგეგმვის გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების უკეთ განაწილებას. ამასთან, ის აადვილებს საჭიროებების ზუსტ შეფასებასა და შესრულების მონიტორინგს, რაც გეგმის ეფექტიან განხორციელებას უწყობს ხელს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით;
- 2020 წლის 20 აგვისტოს ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის განახლებასთან დაკავშირებით .
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება-საქართველოს საპატრიარქოს რუის-ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის სტრატეგიული დაგეგმარებისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმები;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

წარმოდგენილი დოკუმენტის („სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“) სისტემური ანალიზი ადასტურებს, რომ გიმნაზიის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ორგანულად ინტეგრირებს მონიტორინგისა და შეფასების მყარ, ვალიდურ მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს სასკოლო პროცესების მართვის მდგრადობას.

დოკუმენტი მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისგან მონიტორინგის (მიმდინარე კონტროლი და პროგრესის გაზომვა) და შეფასების (შედეგების ანალიზი და რეაგირება) ფუნქციებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, პროცესის მართვისთვის იქმნება სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებით და პასუხისმგებელია მონაცემთა ობიექტურ შეგროვებაზე.

მონიტორინგის მექანიზმი დაფუძნებულია ორ ძირითად ციკლზე:

1. **შუალედური (ნახევარწლიური) მონიტორინგი:** ახდენს მიმდინარე აქტივობების ფაქტობრივი შესრულების შედარებას დაგეგმილ ინდიკატორებთან და უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას ხარვეზების აღმოჩენისას.
2. **წლიური (შეჯამებითი) შეფასება:** აანალიზებს მიღწეულ შედეგებს, ზომავს გავლენას (Impact) და აფასებს რესურსების ეფექტურობას.

მონიტორინგის ინსტრუმენტად განსაზღვრულია სპეციალური **მატრიცები და ინდიკატორები (KPI)**, ხოლო ტექნოლოგიურ პლატფორმად გამოიყენება ღრუბლოვანი სერვისები (Google Drive-ის გაზიარებული საქაღალდეები), რაც უზრუნველყოფს მონაცემთა გამჭვირვალობას, ხელმისაწვდომობასა და მტკიცებულებების (ანგარიშები, ოქმები, ფოტო/ვიდეო მასალა) მუდმივ აკუმულირებას.

მეთოდოლოგიის თანახმად მონიტორინგისა და შეფასების შედეგები არ რჩება ფორმალურ დოკუმენტად, რამდენადაც შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი გამოწვევები და მიღებული ინფორმაცია პირდაპირ გამოიყენება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში **კორექტივებისა და ცვლილებების შესატანად**. ეს მიდგომა სრულად შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე ციკლს (დაგეგმე - შეასრულე - შეამოწმე - შეცვალე).

ექსპერტული დასკვნა: დაწესებულების მიერ გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების წესი რეალისტური, სისტემური და შედეგზე ორიენტირებულია. იგი სცილდება უბრალო კონტროლის ჩარჩოებს და მუშაობს როგორც სკოლის განვითარების ინსტრუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

დუკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ გიმნაზია მუდმივად ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რომელსა კოორდინაციას უწევს **სტრატეგიული დაგეგმარების და მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე. მის მიერ წარმოდგენილი შუალედური ანგარიში (ერთწლიანი 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების თაობაზე)** აჩვენებს, რომ გიმნაზიაში სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესი ფუნქციონირებს და სასწავლო წლის დასაწყისშივე შემუშავდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. ანგარიშის დოკუმენტში აღწერილია კონკრეტული აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულებული ღონისძიებები, რაც მიუთითებს გეგმების განხორციელების პროცესის სისტემურ მონიტორინგზე.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ანგარიშში წარმოდგენილია როგორც შესრულებული, ასევე შეუსრულებელი აქტივობები. მაგალითად, სპორტული მოედნის მოწყობისა და საგანგებო სიტუაციების სიმულაციური სწავლების ვერ განხორციელების დაფიქსირება მიუთითებს, რომ მონიტორინგი ფორმალურ ხასიათს არ ატარებს და გიმნაზია რეალურ მდგომარეობას ასახავს. ასევე იკვეთება შუალედური შეფასების ელემენტები, როდესაც აქტივობების გაგრძელების საჭიროება მეორე სემესტრისთვის განისაზღვრება.

მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მიმართულებაც. დოკუმენტში ჩანს მოსწავლეთა, მშობლებისა და პედაგოგების უკუკავშირის გამოყენების პრაქტიკა. მაგალითად, „იდეების ყუთის“ მექანიზმი უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობლების სურვილებისა და მოსაზრებების ანონიმურად დაფიქსირებას, ხოლო აღნიშნული ინფორმაციის განხილვა და შემდგომი რეაგირება ადასტურებს უკუკავშირის გათვალისწინების მცდელობას. ასევე პოზიტიურად უნდა შეფასდეს მშობელთა კრებების ჩატარება და მათთვის გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ძირითადად აღწერით ხასიათს ატარებს და ნაკლებად ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ შეფასების მექანიზმებსა და გაზომვად ინდიკატორებს. ანგარიშში ხშირად ჩანს აქტივობის განხორციელების ფაქტი, მაგრამ ნაკლებად ჩანს, რა შედეგი დადგა კონკრეტულად, როგორ შეფასდა ეფექტიანობა და რა მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა დასკვნები. ამ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულებას **მიეცა რჩევა: სასურველია შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი დაეფუძნოს მეტად სტრუქტურირებულ, ინდიკატორებზე დაფუძნებულ და მტკიცებულებებით გამყარებულ მიდგომას. განისაზღვროს კონკრეტული, გაზომვადი ინდიკატორები, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენს შესრულებული საქმიანობის შედეგებსა და ეფექტიანობას. მნიშვნელოვანია, ანგარიშში აისახოს არა მხოლოდ განხორციელებული აქტივობის ფაქტი, არამედ მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედეგებიც - მაგალითად, რამდენი გაკვეთილი მოისმინა ადმინისტრაციამ ან ხარისხის მართვის ჯგუფმა, რამდენი მოსწავლე ჩაერთო კონკრეტულ ღონისძიებაში, რა შედეგები გამოიკვეთა და როგორ შეფასდა განხორციელებული აქტივობის ეფექტიანობა. მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მეტად სისტემური წარმართვისთვის ასევე სასურველია გამოყენებულ იქნას შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, როგორიცაა კითხვარები, ანკეტები, დაკვირვების ფორმები, რეფლექსიის დოკუმენტები, ინტერვიუები და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. აღნიშნული ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და ობიექტურ განხორციელებას.**

ინდიკატორის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულებაში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა და გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია როგორც ნორმატიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე. როგორც ირკვევა, გიმნაზიის მეთოდოლოგიური ჩარჩოთი წინასწარ არის რეგლამენტირებული ინფორმაციის საჯაროობისა და გაზიარების არხები, რაც გულისხმობს შესრულების ანგარიშების ხელმისაწვდომობას ოფიციალური ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის და სოციალური მედიის მეშვეობით. პროცესის შემოწმებისას გამოვლინდა, რომ გიმნაზია არ შემოიფარგლება მხოლოდ ციფრული პლატფორმებით და აქტივობების საჯაროობისთვის იყენებს ინტერაქციულ, პირისპირ საკომუნიკაციო ფორმატებსაც. კერძოდ, დირექციასთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება გაერთიანებული მშობელთა კრებები, სადაც რექტორი პირადად წარუდგენს სასკოლო საზოგადოებას გაწეული საქმიანობის დეტალურ ანგარიშს. მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარმოებული რევიზიით დადასტურდა, რომ აღნიშნული საჯარო შეხვედრები და ანგარიშვალდებულების პროცესები რეალურია, რადგან დაწესებულებამ წარმოადგინა მათთან დაკავშირებული ოქმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

წარმოდგენილი ანგარიში ადასტურებს, რომ გიმნაზია სტრატეგიული მიზნების განხორციელების პროცესში მიღებულ შედეგებს იყენებს სკოლის განვითარებისათვის და ცდილობს საქმიანობის გაუმჯობესებას სხვადასხვა მიმართულებით. დოკუმენტში ჩანს, რომ განხორციელებული აქტივობები მიმართულია როგორც სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისკენ, ისე სასკოლო გარემოს, მატერიალური რესურსებისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის გაძლიერებისკენ.

დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ უკუკავშირის საფუძველზე მიღებულია კონკრეტული გადაწყვეტილებები. მაგალითად, მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებით შეძენილია სპორტული და დასასვენებელი ინვენტარი, დაფინანსებულია საგანმანათლებლო გასვლითი ღონისძიებები და შექმნილია არაფორმალური განათლების მხარდამჭერი წრეები. აღნიშნული მიუთითებს, რომ გიმნაზია რეაგირებს გამოვლენილ საჭიროებებზე და მიღებულ ინფორმაციას იყენებს სასწავლო და სააღმზრდელო გარემოს განვითარებისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშში ასახულია პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობები - გაკვეთილებზე დასწრება, უკუკავშირის გაცემა, „კრიტიკული მეგობრის“ ფორმატის გამოყენება, რეფლექსიისა და თვითრეფლექსიის პრაქტიკა. ეს ადასტურებს, რომ მონიტორინგის შედეგები გამოიყენება პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისა და თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებისთვის.

ასევე დადგინდა. რომ გიმნაზია აანალიზებს შეუსრულებელ აქტივობებს და მათ განხორციელებას მომდევნო ეტაპზე გეგმავს. მაგალითად, უსაფრთხოების მიმართულებით დაგეგმილი სიმულაციური სწავლების მეორე სემესტრში გადატანა მიუთითებს პროცესის უწყვეტობისა და განვითარებისკენ ორიენტირებულ მიდგომაზე.

თუმცა, ანგარიშში ნაკლებად ჩანს, თუ როგორ ხდება მიღებული შედეგების სისტემური ანალიზი. დოკუმენტში ძირითადად აღწერილია განხორციელებული ღონისძიებები, თუმცა ნაკლებად იკვეთება, რა კონკრეტული გავლენა მოახდინა აღნიშნულმა აქტივობებმა სასწავლო შედეგებზე, მოსწავლეთა მიღწევებზე ან სკოლის ინსტიტუციურ განვითარებაზე. ასევე არ ჩანს შეფასების მონაცემებზე დაფუძნებული ცვლილებების დაგეგმვის მკაფიო მექანიზმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ პროცესის ეფექტიანობის გასაზრდელად სასურველია შედეგების უფრო სიღრმისეული ანალიზი, განხორციელებული აქტივობების კონკრეტული შედეგებისა და მათ მიერ გამოწვეული პოზიტიური ტრანსფორმაციის

ჩვენება - მაგალითად, მოსწავლეთა ჩართულობის, აკადემიური მოსწრებისა თუ მშობელთა თანამონაწილეობის დინამიკის გაუმჯობესების კუთხით. ამასთანავე, სასურველია, თითოეული სტრატეგიული მიზნის ბოლოს წარმოდგენილი იყოს მოკლე ანალიტიკური რეზიუმე (ძლიერი მხარეების, გამოწვევებისა და გასაუმჯობესებელი საჭიროებების იდენტიფიცირებით).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი";
- ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარებისა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარის ანგარიში;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც სრულად უზრუნველყოფს პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების ეფექტურ, მკაფიო განაწილებას. გიმნაზიის წესდებით და ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დგინდება, რომ დაწესებულება დაფუძნებულია სსიპ სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, ხოლო მის მართვას ახორციელებს ერთპიროვნული მმართველი - რექტორი. გიმნაზიას ჰყავს: სასწავლო ნაწილი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, მარკეტინგის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, კადრების მენეჯერი, მშობელთა კომიტეტი, მასწავლებელი, აღმზრდელი, სასულიერო პირი / სულიერი აღმზრდელი, ბიბლიოთეკარი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, IT სპეციალისტი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ექიმი / მედდა, ლოგისტიკის მენეჯერი, მძღოლი, ტექნიკური მენეჯერი, ელექტრიკოსი, ხელოსანი, დამლაგებელი, მებაღე / მეთვალყურე.

დოკუმენტური შემოწმებით დადასტურდა, რომ გიმნაზიაში მოქმედი თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები ფორმალური არ არის; დაწესებულებაში დამტკიცებულია დეტალური დებულებები და თანამდებობრივი ინსტრუქციები, ხოლო ინდივიდუალური ვალდებულებები დამატებით რეგლამენტირებულია პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. დირექციასთან და

თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მართვის, ხარისხის უზრუნველყოფის, ადმინისტრაციული, მატერიალურ-ტექნიკური და დამხმარე ვერტიკალები მკაფიოდ არის გამიჯნული. კერძოდ, ფუნქციური დამოუკიდებლობისა და ორგანიზაციული გამართულობის მიზნით, სტრუქტურაში მკაფიოდ არის იდენტიფიცირებული სასწავლო ნაწილის, ხარისხის მართვის მენეჯერის, ბუღალტრის, მარკეტინგის მენეჯერის, საქმისმწარმოებლის, კადრების მენეჯერისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიციები.

ამასთან ერთად, გიმნაზიაში მოქმედებს 7 საგნობრივი კათედრა, პედსაბჭო და მრჩეველთა საბჭო, რაც ხელს უწყობს როგორც სასწავლო პროცესის, ისე მართვის სხვადასხვა მიმართულების ეფექტიან ორგანიზებას.

ინდიკატორის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფუნქციური განაწილების ანალიზი ადასტურებს, რომ გიმნაზიაში პასუხისმგებლობების დიფერენცირება პირდაპირ არის ორიენტირებული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მხარდაჭერასა და საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. როგორც ირკვევა, სკოლის მართვის მოდელი არ შემოიფარგლება მხოლოდ მშრალი ადმინისტრირებით, არამედ სტრუქტურულ დონეზე უზრუნველყოფს საგაკვეთილო და არაფორმალური განათლების ხარისხობრივ განვითარებას.

დოკუმენტური რევიზიითა და პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ უშუალოდ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა და ხარისხის კონტროლი გამიჯნულია და დელეგირებულია ორ საკვანძო პოზიციაზე: სასწავლო ნაწილსა და ხარისხის მართვის მენეჯერზე, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და ამაღლებს აკადემიურ სტანდარტს. პედაგოგიურ პერსონალთან და დირექციასთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას არსებითად უწყობს ხელს 7 საგნობრივი კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს ფუნქციონირება, სადაც ხდება კურიკულუმების რევიზია, შემაჯამებელი დავალებების დაგეგმვა და კოლეგიური კვლევა (მაგალითად, „კრიტიკული მეგობრის“ ფორმატში).

ობიექტური დაკვირვებით გამოვლინდა, რომ გიმნაზიის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტრუქტურაში არსებული სულიერი აღმზრდელისა და აღმზრდელების პოზიციები ორგანულად ერწყმის საგანმანათლებლო სივრცეს და ხელს უწყობს მოსწავლეთა ღირებულებებზე დაფუძნებულ, ჰოლისტურ განვითარებას. მოსწავლეებსა და მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მრჩეველთა საბჭოსა და მშობელთა კომიტეტის სტრუქტურული არსებობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესში დაინტერესებული მხარეების აქტიურ თანამონაწილეობასა და უკუკავშირის მყისიერ ასახვას სასკოლო ცხოვრებაში.

გარდა ამისა, სტრუქტურის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა სრულად არის განტვირთული ტექნიკური და დამხმარე საზრუნავისგან, ვინაიდან ლოგისტიკის, უსაფრთხოების, სამედიცინო კაბინეტის, IT მხარდაჭერისა და მატერიალური ბაზის მართვის ფუნქციები მკაფიოდ არის გადაბარებული შესაბამის ტექნიკურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე. ეს მიდგომა პედაგოგებს აძლევს შესაძლებლობას, მთელი რესურსი მიმართონ უშუალოდ სწავლის ხარისხის ამაღლებისკენ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საშტატო განრიგი;
- სკოლის შინაგანაწესი;

- დასაქმებულთა ხელშეკრულებები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ააიპ-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება-საქართველოს საპატრიარქოს რუის-ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის სტრუქტურული ქვეერთეულების უფლებამოსილებები სამართლებრივად დარეგულირებულია - ააიპ-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება-საქართველოს საპატრიარქოს რუის-ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 17 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით - :თანამდებობრივი ინსტრუქციები".

წარმოდგენილი „თანამდებობრივი ინსტრუქციების" , ასევე „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით" (დამტკიცებულია გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 09 სექტემბრის №2-67 ბრძანებით) და „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების" დებულების ანალიზით დასტურდება, რომ გიმნაზიაში პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების მკაფიო გაწერა პირდაპირ უწყობს ხელს სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ და შეუფერხებელ განხორციელებას.

პერსონალის პირადი საქმეების შემოწმებით დადასტურდა, რომ თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სრულ შესაბამისობაშია მათ ფუნქციონალურ სამუშაო აღწერილობებთან. დირექციასთან გასაუბრებითა და შინაგანაწესის ანალიზით გამოვლინდა, რომ ის თავსებადია როგორც დასაქმებულთა ინდივიდუალურ ხელშეკრულებებთან, ისე დაწესებულების სხვა შიდა რეგულაციებსა და ქვეყანაში მოქმედ შრომით კოდექსთან. დადგინდა, რომ მართვის ციკლის მდგრადობისა და მოქნილობის უზრუნველსაყოფად, აღნიშნულ დოკუმენტში საჭირო კორექტივების შეტანა, კოლეგიურობის პრინციპის დაცვით, განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, რაც ხაზს უსვამს გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

დაწესებულებაში მოქმედებს პრევენციასა და ინტერვენციაზე ორიენტირებული ერთიანი მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის პერსონალური საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათზე მყისიერ, ადეკვატურ რეაგირებას. მოსწავლეთა ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობის დაცვის მიზნით, მრჩეველთა საბჭოს მუშაობა და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირება უზრუნველყოფს მუდმივ, სისტემურ მონიტორინგს. შესაბამისი ანალიზით დასტურდება, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მორგებული სამედიცინო მხარდაჭერა, პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა და სერვისების უწყვეტი ხელმისაწვდომობა ქმნის საიმედო ბაზისს უსაფრთხო და ინკლუზიური საგანმანათლებლო სივრცის არსებობისთვის.

კადრების მენეჯმენტის თვალსაზრისით, პერსონალის გამოცხადების, დაგვიანებისა თუ სამუშაო პროცესის გაცდენის საკითხები მკაცრად რეგულირდება დაწესებულების შინაგანაწესით (კერძოდ, დისციპლინურ წარმოებაზე ორიენტირებული 24-ე და 25-ე მუხლებით). აღნიშნული ნორმატიული ჩარჩო მიმართულია შრომითი ორგანიზებულობის ამაღლებისა და შიდა დისციპლინის განმტკიცებისკენ. როგორც ირკვევა, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ ჩააყენოს კურსში სასწავლო ნაწილი სამსახურში გამოუცხადებლობის თაობაზე, დააზუსტოს არყოფნის სავარაუდო პერიოდი და საფუძვლები,

ხოლო ფორსმაჟორულ სიტუაციებში ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოა სამუშაო დღის დაწყებამდე მინიმუმ ერთი საათით ადრე. ფორსმაჟორული ან გადაუდებელი შემთხვევების დროს (მაგალითად, ჯანმრთელობის გაუარესება ან ოჯახური პირობები), დასაშვებია ადმინისტრაციის ინფორმირება გონივრულ ვადებში, რაც უზრუნველყოფს მოქნილ და ეფექტურ ორმხრივ კომუნიკაციას.

სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მონიტორინგს პირადად ახორციელებს რექტორის მოადგილე. არასაპატიო მიზეზით სამუშაო დროის დარღვევისას ან სამუშაო ადგილის მიტოვებისას, პირი ვალდებულია წარადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება. საპატიო საფუძვლით სამსახურის დროებით დატოვების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში დისციპლინური დევნა არ იწყება, თუმცა გაცდენილი დროის შესაბამისი პროპორციული ანაზღაურება იკავება შრომის გასამრჯელოდან. ამავდროულად, არასაპატიო მიზეზით სამუშაო საათების გაცდენა ან ადგილზე არყოფნა კვალიფიცირდება როგორც დისციპლინური გადაცდომა და იწვევს შინაგანაწესით გათვალისწინებული ზომების გატარებას.

გიმნაზიის პერსონალთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ გიმნაზიაში პრაქტიკაშია დანერგილი სისტემური, ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმები, რაც გარანტს ქმნის მოსწავლეთა უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და ყოველმხრივი მხარდაჭერისთვის. ადმინისტრაციული კონტროლის ინსტრუმენტები, სამუშაო დროის მართვა და საორგანიზაციო წესების მკაფიო რეგლამენტაცია უზრუნველყოფს გუნდის ეფექტურ მენეჯმენტს, კოლეგიურობასა და მაღალ შრომით პასუხისმგებლობას. აღნიშნული სტრატეგიები პირდაპირ უწყობს ხელს ორგანიზაციის სტაბილურ განვითარებას, აკადემიური პროცესის უწყვეტობასა და ინსტიტუციურ ნაყოფიერებას. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ეს მიდგომები განაპირობებს სკოლის მიზნობრივ მართვას, სტრატეგიულ პროგრესს და სასწავლო პროცესის მუდმივ მოდერნიზაციას, რაც წარმოადგენს დაწესებულებაში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფუნდამენტურ ბირთვს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

დაწესებულებაში კადრების მოზიდვა და შერჩევა ხორციელდება მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, შიდა და გარე ვაკანსიების მართვის გზით, რაც ეფუძნება ობიექტურობის, ტრანსპარენტულობის, თანასწორობის, საჯაროობისა და კოლეგიური კორექტულობის ფუნდამენტურ პრინციპებს. პროცესის ვალიდურობას უზრუნველყოფს წინასწარ შემუშავებული და სკოლის ხელმძღვანელის აქტებით რეგლამენტირებული კრიტერიუმები. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს კონკურსის მიზნებს, ორგანიზების ეტაპებს, სააპლიკაციო განაცხადების მიღების პირობებს, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებს, შედეგების აპელაციის (გასაჩივრების) წესსა და სხვა პროცედურულ ასპექტებს.

როგორც ირკვევა, გიმნაზიაში პედაგოგიური კადრების შერჩევა ეყრდნობა შიდა ან/და ღია კონკურსის ფორმატს. ამ მიმართულებით გიმნაზია აქტიურად თანამშრომლობს სპეციალიზებულ პლატფორმასთან (teacherjobs.ge), ხოლო სხვა ადმინისტრაციული თუ დამხმარე პოზიციების დასაკომპლექტებლად დაწესებულება იყენებს ალტერნატიულ, მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს - მათ შორის, პროფესიულ რეკომენდაციებს, სოციალურ ქსელებს, პერსონალურ კავშირებსა და დასაქმების წამყვან ვებგვერდებს. დადასტურდა, რომ შერჩევის პროცესის მიზანმიმართულობისთვის, დირექტორის სამართლებრივი აქტით ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია, რომელიც საჭიროებისამებრ ადგენს შერჩევის ვადებსა და ტურებს, წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.

პერსონალის მიღების, შრომითი ურთიერთობის გაფორმებისა და კონტრაქტის შეწყვეტის წესები მკაფიოდ არის სტრუქტურირებული სკოლის შინაგანაწესში, რომლის მიხედვითაც ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებს დაწესებულების რექტორი. დადგინდა, რომ კანონმდებლობასთან სრული თავსებადობის მიზნით, გიმნაზიაში მკაცრად კონტროლდება დასაქმების სამართლებრივი შეზღუდვები.

შესაბამისად, პოზიციაზე არ დაიშვება პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისთვის და არ აქვს მოხსნილი ნასამართლობა; რომელსაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს პედაგოგიური ან საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამო, ან რომელიც ნასამართლევია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის, მიუხედავად ნასამართლობის გაქარწყლებისა.

ანალიზით გამოიკვეთა, რომ კადრების სელექციისას გიმნაზია ეყრდნობა წინასწარ გაწერილ საკვალიფიკაციო მახასიათებლებს, რაც დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებელთა მიღება ხდება აღნიშნული კრიტერიუმების სრული დაცვით, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, კანონმდებლობის შესაბამისად, წესდება სპეციფიკური მიდგომები მოწვეული ან დროებით შემცვლელი პედაგოგების, აგრეთვე დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო სერვისებში ჩართული პერსონალის მიმართ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ააიპ-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება-საქართველოს საპატრიარქოს რუის-ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში დასაქმებული კადრების, მათ შორის პედაგოგიური კორპუსის პროფესიული კომპეტენცია და კვალიფიკაცია სრულ თავსებადობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით რეგლამენტირებულ „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან“, ისევე როგორც დაწესებულების შიდა დებულებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მახასიათებლებთან.

როგორც ირკვევა, საგანმანათლებლო პროცესში სულ ჩართულია 31 პედაგოგი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა მასწავლებელთა პროფესიული იერარქიის შემდეგი სტრუქტურა: 9 წამყვანი, 18 უფროსი, 1 მაძიებელი და 3 საღვთო სჯულის მასწავლებელი. დოკუმენტური შემოწმებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში სისტემურად არის ორგანიზებული და დაცული თითოეული მასწავლებლისა თუ ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პირადი საქმეები, სადაც სრულად არის წარმოდგენილი საქმისწარმოების მოქმედი სტანდარტებით გათვალისწინებული სამართლებრივი და საინფორმაციო მასალა. გამოვლინდა, რომ საკადრო აღრიცხვის ფურცლის, პერსონალური იდენტიფიკაციის (პირადობის) მოწმობის ასლების, პროფესიული სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატებისა და სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსების დოკუმენტაციის მიღმა, პირადი საქმეები დამატებით კომპლექტდება სპეციფიკური სამართლებრივი ფილტრებით. კერძოდ, დადგინდა, რომ საქმეებში წარმოდგენილია ოფიციალური უწყებრივი ცნობები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება დასაქმებული პირების ნასამართლობის არქონა და სქესობრივი თავისუფლებისა თუ ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი წარსულის არარსებობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში გიმნაზიამ ვერ წარმოადგინა ექიმის - დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც სავალდებულოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გიმნაზიამ წარმოადგინა შესაბამისი სერტიფიკატები, რაც ადასტურებს მის კვალიფიკაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

საგნობრივი კათედრებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომების ოქმების ანალიზით, აგრეთვე პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ააიპ ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში მართვა ეფუძნება გუნდურობისა და კოლეგიალობის პრინციპებს. როგორც ირკვევა, საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო წლის დაგეგმვის, ურთიერთდასწრების, მეთოდოლოგიური მიდგომებისა და რესურსების გაზიარების პროცესში.

დოკუმენტური შემოწმებით დადასტურდა, რომ გიმნაზიის წესდება, შინაგანაწესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები მკაფიოდ მიჯნავს რექტორის, ადმინისტრაციისა და პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილებებს, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღებას. გამოვლინდა, რომ ისეთი სტრატეგიული დოკუმენტები, როგორიცაა სასკოლო კურიკულუმები, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, მტკიცდება მხოლოდ სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობითა და საერთო განხილვების საფუძველზე.

დადგინდა, რომ სამუშაო ჯგუფებსა და კომისიებში გადაწყვეტილების მიღება ხდება კენჭისყრის ან კოლეგიური შეთანხმების გზით, რაც პერსონალს საერთო მიზნების ირგვლივ აერთიანებს. თანამშრომლებს აქვთ სრული წვდომა სასკოლო ინფრასტრუქტურასა და რესურსებზე. შინაგანაწესითა და დებულებით გაწერილი ქცევის ნორმები და ფუნქციები კი ეფექტურად უწყობს ხელს ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული, სტაბილური საგანმანათლებლო გარემოს შენარჩუნებას. ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

პერსონალის მოტივირებისა და კარიერული ზრდის მხარდაჭერის მიზნით, ააიპ ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში მოქმედებს თანამშრომელთა პროფესიული მიღწევების აღიარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ეფექტური შიდა მექანიზმები. როგორც ირკვევა, დაწესებულება ორიენტირებულია ადამიანური კაპიტალის უწყვეტ განვითარებაზე, რისთვისაც მიზნობრივად გამოყოფს ფინანსურ რესურსებს და ახდენს საორგანიზაციო პოტენციალის მობილიზებას, რაც უზრუნველყოფს გუნდის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტიმულირებას.

დოკუმენტური რევიზიით დადასტურდა, რომ განსაკუთრებული სამსახურებრივი მიღწევების ან შრომითი წვლილისთვის, გიმნაზიის შინაგანაწესი ითვალისწინებს პერსონალის მორალური წახალისების სხვადასხვა ფორმას, მათ შორის მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, ექსკურსიის დაფინანსება, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

გამოვლინდა, რომ აღნიშნული სისტემა სამართლებრივად აქტიურდება კონკრეტულ საფუძვლებზე დაყრდნობით, როგორიცაა თვალსაჩინო პროფესიული წარმატება, დაკისრებული მოვალეობების მაღალხარისხოვნად შესრულება, განსაკუთრებული სირთულის ამოცანების გადაჭრა, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მოღვაწეობა, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში შემოქმედებითი ინიციატივებისა და განსაკუთრებული ნიჭის დემონსტრირება.

პერსონალთან გასაუბრებითა და დაკვირვებით დადგინდა, რომ მიღწეული შედეგების საჯაროობისა და კორპორაციული კულტურის განმტკიცების მიზნით, გიმნაზია აქტიურად იყენებს საკუთარ ციფრულ და სოციალურ მედია პლატფორმებს, სადაც სისტემატურად აშუქებს თანამშრომელთა მიღწევებსა და წარმატებულ სასკოლო პროექტებს. ამასთანავე, მოტივაციის ამაღლების პროცედურების მოქნილობისთვის, გიმნაზია შიდა რესურსებით პირდაპირ აფინანსებს და მხარს უჭერს პერსონალის მიერ ინიცირებულ კლასგარეშე თუ საგნობრივ აქტივობებს, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სამტატო განრიგი და შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კონკურსის ჩატარების წესი;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ESchool-ის ბაზის მონაცემები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

გიმნაზიაში პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა რეალურ საჭიროებებზეა დაფუძნებული, რაც ვლინდება რეგულარულ სამუშაო თათბირებში, საგნობრივი კათედრების თავმჯდომარეებთან ინტერვიუებსა და ყოველდღიურ შრომით პროცესზე დაკვირვებაში. ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ობიექტური შიდა მონიტორინგის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომელთა პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებაზე.

ინტერვიუებით დადგინდა, რომ მასწავლებელთა კომპეტენციებისა და აკადემიური უნარების შეფასებას გეგმაზომიერად ახორციელებს ხარისხის მენეჯერი. იგი პერიოდულად ესწრება გაკვეთილებს და პედაგოგებს აწვდის არგუმენტირებულ, განმავითარებელ უკუკავშირს. გამოვლინდა, რომ კათედრების დონეზე აქტიურად გამოიყენება კოლეგიური ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების უწყვეტ ციკლს, ცოდნის ტრანსფერსა და წარმატებული მეთოდოლოგიების გაზიარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

გიმნაზიაში პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა და საჭიროებების იდენტიფიცირება პრაქტიკულ დონეზე აქტიურად ხორციელდება, რაც დასტურდება რეგულარული სამუშაო შეხვედრებით, ხარისხის მენეჯერის დაკვირვებითა და კათედრების დონეზე დანერგილი კოლეგიური ურთიერთდასწრების სისტემით. ხარისხის მენეჯერი პერიოდულად ესწრება საგაკვეთილო პროცესს და პედაგოგებს აწვდის განმავითარებელ უკუკავშირს, რაც უზრუნველყოფს ცოდნის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების უწყვეტ ციკლს.

გიმნაზიის მიერ დოკუმენტურად არის წარმოდგენილი გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების ერთიანი, ფორმალური გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

გიმნაზიაში პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარება სისტემურად ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად. შეფასების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს განვითარების მრავალფეროვან (შიდა და გარე) სერვისებს, ხოლო შესაბამისი აქტივობები და მათი ბიუჯეტი ყოველწლიურად აისახება გიმნაზიის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

როგორც ირკვევა, პროფესიული მხარდაჭერის ხედვა ემყარება უწყვეტი განათლების, კონსტრუქციული უკუკავშირისა და ურთიერთნდობის პრინციპებს, რაც ორიენტირებულია სწავლის მხარდაჭერასა და პროგრესის მონიტორინგზე. პერსონალთან გასაუბრებით გამოვლინდა, რომ კარიერული წინსვლა არის ნებაყოფლობითი, თანაბრად ხელმისაწვდომი და დამოკიდებულია დასაქმებულთა სურვილზე, ხოლო მენეჯმენტი აქტიურად ახალისებს თანამშრომელთა შემოქმედებით ინიციატივებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

გიმნაზიაში ახალი კადრების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან სისტემურად არის დარეგულირებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. როგორც ირკვევა, სოციალიზაციის პროცესი ემყარება ადაპტაციის სამეტაპიან მოდელს (მოლოდინები, შეხვედრა და სრულუფლებიანი წევრობა), რაც უზრუნველყოფს ახალი პერსონალის ეტაპობრივ და უსაფრთხო ადაპტაციას.

გასაუბრებით დადასტურდა, რომ ახალი თანამშრომლის მხარდაჭერა მიმდინარეობს მკაფიოდ გაწერილი პროცედურებით: მათ აცნობენ ორგანიზაციის მისიასა და ღირებულებებს, ხოლო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შიდა ნორმებისა და რეგულაციების გაცნობას. გამოვლინდა, რომ მასწავლებელთა შემთხვევაში პროცესს არსებითად აძლიერებს მენტორინგის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც ახალ კადრს პროფესიული მხარდაჭერისთვის გამოცდილი კოლეგა გამოეყოფა. ადაპტაციის პერიოდის ბოლოს უშუალო ხელმძღვანელის მიერ იმართება საკონტროლო შეხვედრა შედეგების შეფასების მიზნით, რაც ხელს უწყობს თანამშრომლის ეფექტურ სოციალიზაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

გიმნაზიის პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობა ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთ წამყვან კომპონენტს წარმოადგენს. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება მიზანმიმართულად უზრუნველყოფს ისეთი სამუშაო გარემოს ფორმირებას, რომელიც ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიული წინსვლისა და მათი შრომითი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებაზე.

როგორც ირკვევა, პედაგოგიური კორპუსის აქტიური ჩართულობა კონფერენციებში, თემატურ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში გარანტს ქმნის პროფესიული ცოდნის მუდმივი განახლებისთვის. ეს პრაქტიკა პედაგოგებს საშუალებას აძლევს, სიღრმისეულად გაეცნონ თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებსა და ინოვაციურ მეთოდოლოგიებს. გამოვლინდა, რომ აღნიშნული აქტივობები, ინდივიდუალური კომპეტენციების ამაღლებასთან ერთად, არსებითად უწყობს ხელს სკოლის შიგნით ცოდნის ეფექტურ ტრანსფერს, გამოცდილების გაზიარებასა და კოლეგიური თანამშრომლობის განმტკიცებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- კათედრის ოქმები;
- კათედრების სამოქმედო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

გიმნაზიის შინაგანაწესის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიების კომპლექსური ანალიზით დადგინდა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნდამენტურად ეფუძნება დემინგის მართვის მოდელს (PDCA ციკლი). შესაბამისად, ორგანიზაციული დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ფაზებს აქვს უწყვეტი, ციკლური ხასიათი, რაც მიზნად ისახავს ინსტიტუციური ხარისხის კულტურის მუდმივ ამაღლებას.

როგორც ირკვევა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი პროგრესის მისაღწევად, გიმნაზია ახორციელებს მრავალმხრივ აქტივობებს. ეს მოიცავს სწავლა-სწავლების პროცესის ოპტიმიზაციას, სკოლის ეფექტური ფუნქციონირების ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზსა და სტრატეგიულ განვითარებაზე ზრუნვას. ხარისხის მენეჯერთან და პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მასწავლებელთა საქმიანობის (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესის) სისტემურ დაკვირვებაზე, ობიექტურ შეფასებასა და არგუმენტირებული, განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდებაზე. ეს მექანიზმები პირდაპირ უკავშირდება პედაგოგთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას,

ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლებას, სასწავლო პროგრამების პერიოდულ რევიზიასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზებას.

გიმნაზიაში ხარისხის უზრუნველყოფის მეტი ეფექტურობის მიზნით ექსპერტთა მიერ გაიცა შემდეგი რჩევები - სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რომელი სასკოლო საქმიანობის კონკრეტული ასპექტები ექვემდებარება შეფასებას, რა პერიოდულობით უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროცედურები, რა თანმიმდევრობით წარიმართოს პროცესები, რომელი ინსტრუმენტები უნდა იქნას გამოყენებული და ვინ არის პასუხისმგებელი თითოეული ეტაპის შესრულებაზე. აღნიშნული დეტალიზაცია მნიშვნელოვნად გაზრდის პროცესის სისტემურობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

ასევე სასურველია, რომ დოკუმენტში აისახოს შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები - როგორ ხდება მონაცემების ანალიზი, რა ფორმით მიიღება გადაწყვეტილებები და როგორ აისახება ეს ცვლილებები სკოლის შემდგომ საქმიანობაზე. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ციკლის სრულყოფილ ფუნქციონირებას და ხელს შეუწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს სკოლის პერსონალისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებს მართვის პროცესში.

გიმნაზიაში მოქმედი რეგულაციები - მათ შორის სკოლის ფილოსოფია და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სკოლის დებულება, შინაგანაწესი და სხვა შესაბამისი წესები - დეტალურად აღწერს სკოლის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ პროცესებს. ეს მოიცავს მმართველობით მიმართულებებს (სტრატეგიული და ერთწლიანი დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა), ძირითად პროცესებს (მოსწავლეებთან დაკავშირებული პროცედურების მართვა, კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა) და სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე სხვა მხარდამჭერ საქმიანობებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

გიმნაზიაში მოქმედებს თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლების საჩივრების მიღებისა და პირველადი განხილვის სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც რეგლამენტირებულია დაწესებულების შინაგანაწესით და უზრუნველყოფს მიმართვების სისტემურ დამუშავებას. დოკუმენტური შემოწმებით იკვეთება, რომ ნებისმიერი დაინტერესებული პირის წერილობითი მიმართვა წარმოადგენს დისციპლინური წარმოების დაწყების ოფიციალურ საფუძველს, რაც აძლიერებს პროცედურის ფორმალიზებასა და სამართლებრივ სანდოობას.

მექანიზმი ითვალისწინებს საქმის შესწავლის მკაფიოდ განსაზღვრულ ვადებს, მხარეთა უფლებას წარმოადგინონ წერილობითი ახსნა-განმარტებები და უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას პროცესში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სავალდებულო ჩართულობით. აღნიშნული მიდგომა ზრდის პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და მონაწილე მხარეთა უფლებების დაცვის ხარისხს.

გადაწყვეტილებების მიღება და საპროცესო ვადების კონტროლი კონცენტრირებულია რექტორის დონეზე, რაც უზრუნველყოფს საქმეთა ცენტრალიზებულ და ორგანიზებულ მართვას. ამასთან, არსებული მოდელი ხელს უწყობს ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, თუმცა ზრდის ინდივიდუალურ დონეზე გასაჩივრებისა და მრავალსაფეხურიანი განხილვის საჭიროებას.

პროცედურების შემდგომი სისტემურობის, ანგარიშვალდებულებისა და სამართლებრივი დაცვის გარანტიების გაძლიერების მიზნით, **სასურველია შიდასასკოლო გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმის უფრო დეტალური ნორმატიული რეგლამენტაცია, მათ შორის ეტაპების, ვადების და პასუხისმგებელი ორგანოების მკაფიოდ განსაზღვრა. აღნიშნული გააძლიერებს გადაწყვეტილებების გადახედვის შესაძლებლობას, გაზრდის პროცესის ობიექტურობას და კიდევ უფრო გაამყარებს დაინტერესებულ პირთა ნდობას არსებული სისტემის მიმართ.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

პერსონალის უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. ხოლო მოსწავლეთა და მშობელთა (კანონიერ წარმომადგენელთა) უფლებები და ვალდებულებები ასახულია მათთან გაფორმებულ ორმხრივ შეთანხმებებში. შინაგანაწესი ადგენს ასევე იმპერატიულ ვალდებულებას, რომლის თანახმადაც, მუშაობის დაწყებისას ან საგანმანათლებლო პროცესში ჩართვისას, ხდება კადრებისა და მშობლების დეტალური ინფორმირება შიდასასკოლო რეგულაციების შესახებ.

დადასტურდა, რომ მხარეთა ინტერესების დაცვას არსებითად უზრუნველყოფს გიმნაზიაში მოქმედი საჩივრების განხილვის სისტემა. აღნიშნული მექანიზმი სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს ანიჭებს უფლებას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, კანონმდებლობისა თუ შიდა აქტების დარღვევის საფუძვლით, დროულად გაასაჩივროს პერსონალის არამართლზომიერი ქმედებები ან ადმინისტრაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება. პერსონალისა და მოსწავლეთა ინტერესების დაცვის მიზნით, შინაგანაწესში ასევე სრულყოფილად არის ინტეგრირებული დისციპლინური გადაცდომებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის სახეების გამჭვირვალე ნომენკლატურა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გიმნაზიის შინაგანაწესი;
- სასწავლო გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- მშობლის/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები;
- განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;
- "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა".

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

გიმნაზიაში მშობლებთან კომუნიკაციისა და საგანმანათლებლო პროცესში მათი აქტიური ჩართულობის მექანიზმები ინსტიტუციურ დონეზე სრულყოფილად არის დარეგულირებული. დაწესებულებაში მოქმედებს სპეციალური „მშობელთან კომუნიკაციის წესის“ დებულება, რომელიც ურთიერთნდობისა და პარტნიორობის პრინციპებზე დაყრდნობით განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის სამართლებრივ ჩარჩოს.

დოკუმენტური ანალიზით დადასტურდა, რომ აღნიშნული დებულება დეტალურად აწესრიგებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მასწავლებელთა და დამრიგებელთა ვალდებულებებს, ასევე მშობელთა გიმნაზიაში გამოცხადებისა და საინფორმაციო კრებების ჩატარების პერიოდულობას. შიდა რეგულაციით გარანტირებულია მშობლის უფლება, დროულად მიიღოს ობიექტური ინფორმაცია შვილის აკადემიური პროგრესის, სოციალურ-ემოციური განვითარებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ.

გამოვლინდა, რომ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება მრავალფეროვანი და ეფექტური არხებით ხორციელდება, რაც მოიცავს: პირისპირ ინდივიდუალურ შეხვედრებსა და სემესტრულ საკლასო კრებებს; I-IV კლასებში ყოველდღიურ წერილობით კომენტარებსა და საინფორმაციო ნიშნების ფურცლებს (სემესტრში მინიმუმ ორჯერ); თანამედროვე ციფრულ პლატფორმებს, მათ შორის ელექტრონულ ჟურნალს, „სქულბუქის“ (Schoolbook) სისტემასა და ოფიციალურ შეტყობინებებს.

განსაკუთრებით პოზიტიურად უნდა აღინიშნოს, რომ დებულება იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობას და კრძალავს მოსწავლის აკადემიური თუ დისციპლინური საკითხების საჯარო განხილვას. ამასთანავე, გიმნაზია იღებს იმპერატიულ ვალდებულებას, სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ მოაწყოს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა ბავშვის აღზრდა, ეფექტური კომუნიკაცია, ბულინგისა და ძალადობის პრევენცია და ჯანსაღი ცხოვრების წესი.

ამასთანავე, მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებებით დასტურდება, რომ პრაქტიკაში აღნიშნული მექანიზმები რეალურად და სისტემურად ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას გიმნაზიასა და ოჯახს შორის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

გიმნაზიაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით და გამჭვირვალე მართვის პრინციპების განმტკიცებას.

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკის, მისი ცვლილებებისა და განხორციელების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, სკოლის შენობაში ფუნქციონირებს საინფორმაციო დაფა. ამასთანავე, გიმნაზიას აქვს ოფიციალური სოციალური გვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის, ხოლო გამოცემული ბრძანებებისა და ადმინისტრაციული აქტების შესახებ ინფორმაციის გაცნობა უზრუნველყოფილია სკოლის ვებ-გვერდის მეშვეობით.

დამატებით, გიმნაზიაში დანერგილია უკუკავშირის მიღების მექანიზმი - სპეციალური ყუთი, სადაც მოსწავლეები და მშობლები ათავსებენ საკუთარ მოსაზრებებს, სურვილებსა და წინადადებებს. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს სასკოლო პროცესების გაუმჯობესებისა და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

წარმოდგენილი ოქმებით დგინდება, რომ უკუკავშირის ანალიზის მიზნით გიმნაზია პერიოდულად ატარებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოების წევრებთან, რომლის საფუძველზეც ხდება არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი გაუმჯობესების გზების დაგეგმვა.

გიმნაზიაში ფუნქციონირებს კოლეგიური მართვის ორგანოები — საგნობრივი კათედრები, რომლებიც აერთიანებს საგნის მასწავლებლებს, და პედაგოგიური საბჭო, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სკოლის განვითარებისათვის მნიშვნელოვან პროცესებში, მათ შორის სასკოლო კურიკულუმის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, მისიის, ხედვისა და ღირებულებების განხილვასა და დამტკიცებაში.

საჭიროების შემთხვევაში იქმნება თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაზე. აღნიშნულ ჯგუფებში, სკოლის თანამშრომლებთან ერთად, საჭიროებისამებრ ჩართული არიან მოსწავლეთა მშობლებიც, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კოლეგიალურობასა და თანამონაწილეობით მართვის პრინციპს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გიმნაზიის ვებ-გვერდი: www. gimnazia.edu.ge;
- სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის, პედ. საბჭოს, კათედრების, მშობელთა კრებების ოქმები;
- „მშობელთან კომუნიკაციის წესი";
- შინაგანაწესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის -ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის რექტორის 2020 წლის 15 ივნისის N 2-36 ბრძანებით დამტკიცებულია ,,გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ ასევე 2024 წლის 25 აგვისტოს N2-48 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანებისა და უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.

სასწავლო დაწესებულების ტერიტორიაზე შესასვლელთან მოწყობილია საგუშაგო, ხოლო შესვლა-გასვლის პროცესს აკონტროლებს სამი დარაჯი. დამატებით, გიმნაზიაში ფუნქციონირებს პედაგოგთა მორიგეობის სისტემა, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები ზედამხედველობას უწევენ მოსწავლეთა ქცევას როგორც შენობაში, ასევე ეზოში.

გიმნაზიის მთელი პერიმეტრი შემოღობილია, რაც ხელს უწყობს გარე რისკების შემცირებას და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. გიმნაზიაში განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი, რომელიც გადამზადებულია სსიპ საგანმანათლებლო და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურის მიერ. აღნიშნულ პირს აქვს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, მათ შორის მეტალოდეტექტორი და ვიდეოსამეთვალყურეო კამერებზე წვდომა, რაც დამატებით აძლიერებს უსაფრთხოების მონიტორინგისა და პრევენციის მექანიზმებს.

გიმნაზიას არ აქვს საგანგებო მართვის გეგმა შეთანხმებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოება გიმნაზიაში უზრუნველყოფილია შესაბამისი სახანძრო აღჭურვილობით, ინფრასტრუქტურით. გიმნაზიის ტერიტორიაზე დაცულია ნებისმიერი პირის ფიზიკური უსაფრთხოება. გიმნაზიას ჰყავს დარაჯები და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. გიმნაზია აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. ყველა შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა (გასაახლებელი) **გ**იმნაზიამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მიწერილობა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ავტორიზაციის ვიზიტის მომენტისთვის გიმნაზიას არ ჰქონდა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ არის მოწყობილი ამწოვი კარადა, ასევე არ არის განთავსებული შესაბამისი სადემონსტრაციო და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სამუშაო მაგიდა. ქიმიის ლაბორატორიაში არ ფიქსირდება რეაქტივების შესანახი სპეციალური კარადა, რაც მნიშვნელოვანია უსაფრთხო და სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისთვის. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სასწავლო-ლაბორატორიული რესურსი საჭიროებს რევიზიასა და განახლებას, რათა სრულად შეესაბამებოდეს უსაფრთხოების მოთხოვნებსა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების თანამედროვე სტანდარტებს.

გიმნაზიას არ ჰყავს ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი,, რასთან დაკავშირებით გიმნაზიას მიეცა შესაბამისი რჩევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები და მათი განხორციელების ვადები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა გაგზავნილია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შესათანხმებლად, ხოლო აღნიშნული ღონისძიების შესრულების საბოლოო ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 15 სექტემბერი (მეტწილი შესაბამისობა). ამავე ვადისთვის გიმნაზია გეგმავს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ საევაკუაციო გეგმის შეთანხმების მიღებას.

შესაბამისობის გეგმით ასევე გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, რომლის შესრულების საბოლოო ვადად მითითებულია 2028 წლის 13 ივნისი (ნაწილობრივი შესაბამისობა).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვი კარადის, აგრეთვე სადემონსტრაციო და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სამუშაო მაგიდის განთავსება დაგეგმილია 2026 წლის 15 სექტემბრამდე (მეტწილი შესაბამისობა). რაც შეეხება ქიმიის ლაბორატორიაში რეაქტივების შესანახ სპეციალურ საკეტიან კარადას, გიმნაზიამ წარმოადგინა შესაბამისი ფოტომასალა, რომელიც ადასტურებს აღნიშნული ინფრასტრუქტურული რესურსის არსებობას.

ზემოაღნიშნული გარემოებების შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებები, მათი შესრულების კონკრეტული ვადები და პასუხისმგებლობები, ხოლო წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებები ცალკეული საკითხების ფაქტობრივ არსებობას ადასტურებს.

შესაბამისობი რეკომენდაციები:

1. გიმნაზიამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 2026 წლის 15 სექტემბრამდე (მეტწილი შესაბამისობა).
2. გიმნაზიამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შეთანხმებული სახანძრო-საევაკუაციო გეგმის მიღება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 15 სექტემბრამდე (მეტწილი შესაბამისობა)'
3. გიმნაზიამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი დასკვნის მოპოვება და წარდგენა განსაზღვრულ ვადაში – 2028 წლის 13 ივნისამდე (ნაწილობრივ შესაბამისობა).
4. გიმნაზიამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა გამწოვი კარადით, აგრეთვე სადემონსტრაციო და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე სამუშაო მაგიდით 2026 წლის 15 სექტემბრამდე (მეტწილი შესაბამისობა).

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

გიმნაზიაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც განთავსებულია პირველ სართულზე. აღნიშნული გარემო, რომელიც მოწყობილია "საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და სრულად არის აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით, ხელს უწყობს მოსწავლეთა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და საჭიროების შემთხვევაში დროული რეაგირების უზრუნველყოფას. გიმნაზიაში დასაქმებულია 1 ექიმი და 1 ექთანი.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შემუშავებულია შესაბამისი რეგულაციები და მექანიზმები. გიმნაზიას აქვს უსაფრთხოების დაცვის წესები, რომლებიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე ცალკე უსაფრთხოების

პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია წესრიგისა და სკოლის ქონების დაცვის მექანიზმები. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები დამატებით რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

გიმნაზიაში მუდმივად ხორციელდება შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება. დისციპლინური საკითხების მართვა მიმდინარეობს დადგენილი პროცედურების შესაბამისად, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრევენციულ ღონისძიებებს. საჭიროების მიხედვით, სკოლის დირექციის ინიციატივით, კლასის ხელმძღვანელებისა და მშობლების ჩართულობით ტარდება შეხვედრები, სადაც განიხილება მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლო გამოწვევები და პრევენციული ღონისძიებები.

გიმნაზიაში ფუნქციონირებს მორიგეობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების კონტროლს როგორც შენობაში, ისე სკოლის ტერიტორიაზე. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ჩართული არიან უფლებამოსილი პირი და მორიგე მასწავლებლები.

ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საგანგებო და საჭირო საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, შესაბამისი უწყებების საკონტაქტო მონაცემები და უფლებამოსილი პირის ტელეფონის ნომერი. მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და ქცევის წესების გაცნობა ხდება კლასის საათების ფარგლებში კლასის ხელმძღვანელების მიერ, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და ორგანიზებული სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

გიმნაზიაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. კლასის ხელმძღვანელები პერიოდულად ატარებენ კლასის საათებს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნა, ბულინგის პრევენცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, პიროვნული და სოციალური უნარების განვითარება. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებასა და პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

გიმნაზიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სულიერ და ზნეობრივ აღზრდას. მოსწავლეები სწავლობენ საღვთო სჯულს, ხოლო მათ სულიერ მხარდაჭერასა და აღზრდაზე ზრუნავს გიმნაზიის სულიერი მოძღვარი - არქიმანდრიტი. აღნიშნული მიმართულება ხელს უწყობს მოსწავლეებში ურთიერთპატივისცემის, პასუხისმგებლობის, თანადგომისა და ადამიანური ღირებულებების გაძლიერებას.

გიმნაზიის შინაგანაწესი განსაზღვრავს ქცევის ნორმებსა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ წესებს, რაც ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში ქმნის უსაფრთხო, მეგობრულ და კეთილგანწყობილ გარემოს. მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები ხელს უწყობს თითოეული წევრის შესაძლებლობების წარმოჩენასა და მიკუთვნებულობის განცდის გაძლიერებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა - სატრაპეზო, საკონფერენციო და სააქტო დარბაზები, ღია სპორტული მოედანი, სკვერი და მოსწავლეთა გასართობი სივრცეები - ქმნის პირობებს მოსწავლეთა სოციალიზაციისა და არაფორმალური ურთიერთობების განვითარებისთვის. სასკოლო სივრცეებში გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები და პროექტები დამატებით აძლიერებს სასკოლო საზოგადოების ემოციურ კავშირს გიმნაზიასთან და ქმნის პოზიტიურ გარემოს.

გიმნაზიაში სისტემატურად ტარდება სხვადასხვა სახის სასკოლო ღონისძიება და პროექტები, რომელთა შესახებ ინფორმაციაც ქვეყნდება სკოლის ვებ-გვერდზე. ინტერვიუირების პროცესში მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები განსაკუთრებულად უსვამდნენ ხაზს სკოლის მყუდრო, თბილ და კეთილგანწყობილ ატმოსფეროს, როგორც გიმნაზიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს. აღნიშნულს განსაკუთრებით აღნიშნავდნენ სხვა

სკოლებიდან გადმოსული მოსწავლეები და მათი მშობლები, რაც მიუთითებს გიმნაზიაში არსებული პოზიტიური ფსიქოლოგიური გარემოს ეფექტიანობაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით, გიმნაზიაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას.

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების სისუფთავეზე. გიმნაზიაში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების საშუალება. გიმნაზიის ტერიტორიაზე განთავსებულია წყლის ავზები, რომელიც წყლის უწყვეტობას უწყობს ხელს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

გიმნაზიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი ორგანიზებულია განსაზღვრული რეგულაციებისა და პასუხისმგებელი პირის საქმიანობის საფუძველზე. გიმნაზიას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხები რექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული. ეს უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებასა და მონაცემთა დაცვის პროცესის ეფექტიან მართვას.

ამასთანავე, გიმნაზიაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (დამტკიცებულია გიმნაზიის რექტორის 2024 წლის 26 აგვისტოს N2-47 ბრძანებით), რომელიც არეგულირებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხს და სავალდებულოა შესასრულებლად. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, კონფიდენციალურობის დაცვის სტანდარტებსა და შესაბამის პროცედურებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლებების დაცვას და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

გიმნაზიაში საქმისწარმოებისა და მონაცემთა მართვის პროცესი რეგულირდება განსაზღვრული წესებისა და უფლებამოსილებების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობის დაცვას. გიმნაზიის საქმისწარმოებასა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვთ მხოლოდ შესაბამისი ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომის უფლება აქვთ.

მნიშვნელოვანია, რომ მონაცემებზე წვდომა ხორციელდება მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით, რაც ამცირებს ინფორმაციის არამართლზომიერი გამოყენების რისკს და უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხო დაცვას. გიმნაზია ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩარიცხვასა და სტატუსის მინიჭებას მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. კანონით დადგენილი წესების შესაბამისად ხორციელდება მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის ასახვა ელექტრონულ ბაზაში - Eschool.emis.ge, მათ შორის პირველკლასელთა რეგისტრაცია, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერება და აღდგენა.

ელექტრონულ სისტემაში არსებული მოსწავლეების, მშობლებისა და თანამშრომლების მონაცემებზე წვდომა მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებს აქვთ, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა მართვის პროცესის გამჭვირვალობას, სიზუსტესა და ინფორმაციის დაცულობას. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ გიმნაზია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მონაცემთა უსაფრთხო მართვასა და პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას.

გიმნაზია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პერსონალური მონაცემების დაცვას. განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხები დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული. გიმნაზიაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელიც არეგულირებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს და სავალდებულოა შესასრულებლად.

გიმნაზია პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებისთვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამართლებრივი საფუძვლითა და დასაქმებულთა და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების წერილობითი თანხმობის საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის დაცვასა და სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლებების პატივისცემას.

ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ გიმნაზია პასუხისმგებლობით ეკიდება მონაცემთა უსაფრთხო მართვას, პერსონალური ინფორმაციის დაცვასა და გამართული ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფას, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებისათვის სანდო, დაცული და ორგანიზებული გარემოს შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

გიმნაზია ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას. პროცესში ჩართული არიან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლები, რომლებიც ყოველდღიურად აკონტროლებენ სასწავლო, ადმინისტრაციულ და ოპერაციულ პროცესებს. გიმნაზიაში მოქმედებს მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების მარეგულირებელი წესები, ხოლო მონიტორინგის შედეგები გამოიყენება არსებული მექანიზმების გაუმჯობესებისა და პროცესების ეფექტიანობის გაზრდისთვის. განხორციელებული მონიტორინგი დასტურდება შესაბამისი ანგარიშებითა და ოქმებით.

გიმნაზიაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სასწავლო პროცესის, უსაფრთხოების მექანიზმებისა და სასკოლო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. საბჭო არსებული პრაქტიკის შეფასების საფუძველზე გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია უსაფრთხოების მექანიზმების, პროცესების ორგანიზებისა და სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებისკენ.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართული არიან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლები, ხოლო განხორციელებული საქმიანობა დასტურდება შესაბამისი ოქმებითა და ანგარიშებით. შეფასების შედეგები გამოიყენება არსებული მექანიზმების დახვეწისა და უსაფრთხო გარემოს მხარდაჭერისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დაწესებულება ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას და მიღებულ შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

- სკოლის წესდება'
- ,,გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები"
- „ადამიანებისა და უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი"
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- ექთანთან და ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- რექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- რექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- დარაჯებთან და დამლაგებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს რუის-ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია მდებარეობს ქ. ქარელში, ომარ ვარძელაშვილის ქ. №87ა-ში. გიმნაზია განთავსებულია 10 100 კვ.მ მიწის ფართობზე, სადაც განლაგებულია სასკოლო შენობა-ნაგებობები, ტაძარი, სატრაპეზო და საბავშვო ბაღის შენობა. აღნიშნული სახელმწიფო ქონება, რომელიც სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სარგებლობაშია, გიმნაზიას გადაცემული აქვს უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით.

გიმნაზიის ინფრასტრუქტურა მოიცავს საკლასო ოთახებს, ადმინისტრაციულ კაბინეტებს, სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებს, გიმნაზიას აქვს ვირტუალური ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ ციფრული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით ექსპერიმენტული და პრაქტიკული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნული რესურსი ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო და სხვა საგნების სწავლების პროცესში ვიზუალური მოდელირებისა და სიმულაციური სწავლების დანერგვას, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის პროცესის ეფექტიანობას.

შენობაში გამოყოფილია კაბინეტები წრეების განსახორციელებლად, კვების ბლოკი, სამედიცინო კაბინეტი, რესურსოთახი და სხვა დამხმარე სივრცეები. ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგების გათვალისწინებით, თითოეული სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გამოიყენება დანიშნულების შესაბამისად.

გიმნაზია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსებს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

გიმნაზია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურასა და რესურსებზე ხელმისაწვდომობას. გიმნაზიაში ფუნქციონირებს გარე სპორტული მოედანი, ხოლო სკოლის ფართე დერეფანში განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა. გიმნაზიაში ტარდება როგორც სპორტის გაკვეთილები, ისე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები და შიდა შეჯიბრებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებასა და გუნდური მუშაობის უნარების გაძლიერებას. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის და წარმოადგენს სასწავლო პროცესის მხარდამჭერ მნიშვნელოვან რესურსს. გიმნაზია ასევე აღჭურვილია ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერული ლაბორატორიით, რაც ეფექტიანად უწყობს ხელს როგორც საინფორმაციო-საძიებო, ისე პრაქტიკული და ექსპერიმენტული აქტივობების განხორციელებას.

მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენონ კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები და სხვა ტექნიკური რესურსები. ამასთანავე, სააქტო დარბაზი გამოიყენება კულტურული, ინტელექტუალური და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების ჩასატარებლად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა არაფორმალური განათლებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილია და აღჭურვილია საჭირო ინფრასტრუქტურით. ბიბლიოთეკაში დაცულია დაახლოებით 1100 ერთეული წიგნადი ფონდი, რომელიც სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების სამივე საფეხურის სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) მოთხოვნებს.

ბიბლიოთეკის მუშაობას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის რესურსების მართვასა და მომხმარებელთა მომსახურებაზე. ბიბლიოთეკის ფუნქციონირება რეგულირდება დადგენილი წესებით, რომლებიც გაწერილია დოკუმენტში - „ბიბლიოთეკის დებულება“ დამტკიცებული სკოლის რექტორის 2026 წლის 23 თებერვლის №N2-12 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი გამოკრულია ბიბლიოთეკის შენობაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სასწავლო კორპუსის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს ეტლით მოსარგებლეთა გადაადგილების შესაძლებლობას, ხოლო სართულებს შორის დამონტაჟებულია ლიფტის ასაკეცი პანდუსი, რაც ხელს უწყობს შენობაში ხელმისაწვდომობის გაზრდას.

გიმნაზიაში მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც განთავსებულია ეზოში არსებულ სველ წერტილებთან ერთად, თუმცა გამოყოფილია დამოუკიდებელი შესასვლელითა და სივრცით. ასევე უზრუნველყოფილია სველ წერტილამდე მისასვლელი ადაპტირებული ბილიკი.

ეზოში დაგებულია ფილები და განხორციელებულია შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც აუმჯობესებს უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

როგორც გიმნაზიის ეზო, ასევე შენობის შიდა სივრცეები დაგეგმილია ისე, რომ ხელი შეუწყოს კომუნიკაციას, თანამშრომლობასა და სოციალურ ინტეგრაციას. ეზო კეთილმოწყობილია და ქმნის მოსწავლეებისთვის, პედაგოგებისა და მშობლებისთვის უსაფრთხო, კომფორტულ და არაფორმალური ურთიერთობების ხელშემწყობ გარემოს. დერეფნებში მოწყობილია თავისუფალი ზონები, რომლებიც განკუთვნილია მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის არაფორმალური კომუნიკაციისა და თანამშრომლობისთვის, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასკოლო საზოგადოებაში ურთიერთობების გაღრმავებასა და თანამშრომლობის კულტურის განვითარებას.

გიმნაზიაში რეგულარულად ტარდება მრავალფეროვანი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სპორტული აქტივობები, მათ შორის საგნობრივი კვირეულები, ინტელექტუალური შეჯიბრებები და შიდა სპორტული ტურნირები ფეხბურთსა და კალათბურთში. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, გუნდური მუშაობის უნარების განვითარებასა და სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე, მათ შორის ვიზუალური დაპროგრამების, ხატვისა და ჭადრაკის წრეები, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას განავითარონ შემოქმედებითი, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური უნარები.

სააქტო დარბაზი აქტიურად გამოიყენება ინტელექტუალური შეჯიბრებების, ვიქტორინების, საგანმანათლებლო ფილმების საყურებლად, კულტურული ღონისძიებებისა და შემეცნებითი აქტივობების ჩასატარებლად და წარმოადგენს სკოლის სოციალური და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სივრცეს.

გიმნაზიის გარემო ქმნის მოსწავლეთა და თანამშრომელთა თვითგანვითარებისა და ინტელექტუალური ურთიერთობის შესაძლებლობას - ისინი ერთობლივად მსჯელობენ იდეებზე და აყალიბებენ ინიციატივებს სხვადასხვა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საკითხებზე. ფუნქციონირებს სასადილო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა და პერსონალის კვებით მომსახურებას და დამატებით ხელს უწყობს სკოლის სოციალურ გარემოს.

აღნიშნულის საფუძველზე, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საჯარო რეესტრის ამონაწერები;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ინვენტარიზაციის აქტები და შესაბამისი დანართები;
- სკოლის შინაგანაწესი
- ბიბლიოთეკის დებულება;
- გიმნაზიის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

გიმნაზია აღჭურვილია საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, რომლებიც ხელს უწყობს სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას. სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერებისა და ლეპტოპების ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიებში (14 ერთეული), ხოლო ნაწილი (9) ერთეული) გამოიყენება გიმნაზიის სხვა სასწავლო და ადმინისტრაციულ სივრცეებში, მათ შორის ბიბლიოთეკაში.

გიმნაზიას აქვს პრინტერები, ქსეროქსის აპარატი და პროექტორები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის. გიმნაზიაში დასაქმებულია კვალიფიციური IT სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური პრობლემების დროულ მოგვარებას, კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მუშაობას და პროგრამულ მხარდაჭერას. გიმნაზიას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის მიზანია გიმნაზიის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების გამარტივება, ავტომატიზაცია და გაციფრულება. გიმნაზია აქტიურად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ონლაინ რესურსს - საგანმანათლებლო ვიდეომასალას, ინტერაქტიულ პლატფორმებს, პრეზენტაციებსა და საგანმანათლებლო თამაშებს. პროექტორები და ლეპტოპები გამოიყენება პრეზენტაციების, ვიდეომასალის ჩვენებისა და სასწავლო რესურსების ვიზუალიზაციისთვის. გიმნაზიას აქვს ვირტუალური ლაბორატორია, რომელიც აქტიურად გამოიყენება საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას. კომპიუტერებით განსაკუთრებით სარგებლობენ ის მოსწავლეები, რომლებსაც სახლში კომპიუტერთან ან ინტერნეტთან მუშაობის შესაძლებლობა არ აქვთ. სივრცე განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში და მუშაობს სასწავლო დღეებში, გაკვეთილების შემდეგ

გიმნაზია უზრუნველყოფილია ინტერნეტკავშირით, ხოლო დირექციასა და ადმინისტრაციას გააჩნია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის პრინტერები და სკანერები, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესების ეფექტიან განხორციელებას და დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

როგორც უკვე აღინიშნა, გიმნაზიის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რესურსების მიზნობრივ და შეუზღუდავ გამოყენებას როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების მიერ.

მოსწავლეებისთვის განკუთვნილ სივრცეებში ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა განაწილებულია საინფორმაციო მენეჯერს, ტექნოლოგიების მასწავლებელსა და იმ პედაგოგებს შორის, რომლებიც კონკრეტულ საგანმანათლებლო პროცესში იყენებენ საერთო სამუშაო სივრცეებს მოსწავლეებთან ერთად.

გარდა ამისა, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, სასწავლო რესურსების გამოყენება, ელექტრონული მასალის დაბეჭდვა და სხვა სასწავლო-კვლევითი აქტივობები. აღნიშნულ პროცესს ბიბლიოთეკარი უწევს კოორდინაციას და უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ გამოყენებას.

საჭიროების შემთხვევაში, საზიარო სივრცეები ხელმისაწვდომია სპეციალური განრიგით იმ მოსწავლეებისთვისაც, რომლებსაც სახლში არ აქვთ კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე წვდომა, რაც მათ საშუალებას აძლევს შეასრულონ საშინაო დავალებები და განახორციელონ სასწავლო პროექტები სკოლის ბაზაზე.

ამგვარად, გიმნაზიაში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების რესურსები ფართოდ ხელმისაწვდომია და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინვენტარიზაციის აქტები და შესაბამისი დანართები (კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია);
- ინტერნეტის მომსახურების გადახდის ქვითარი;
- IT სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ციფრული განვითარების გეგმა;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

ა(ა)იპ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს საპატრიარქოს რუის-ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში მოქმედებ რექტორის 2024 წლის 17 დეკემბრის N 2-98 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი.

დადგენილი წესით რეგულირდება დოკუმენტბრუნვის პროცესის ორგანიზება, მათ შორის დოკუმენტების აღრიცხვა, კონტროლი, შესრულების მონიტორინგი, შემდგომი შენახვა და საჭიროების შემთხვევაში გამოყენება.

საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს:

- დოკუმენტბრუნვის შეუფერხებელ ფუნქციონირებას;
- სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას;

- მოსწავლეთა მოძრაობის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას;
- სკოლის არქივის დაცვასა და დოკუმენტების ასლების გაცემას მოთხოვნის საფუძველზე;
- საჯარო ინფორმაციის გაცემას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- შემოსული კორესპონდენციის მიღებას, დამუშავებასა და რეგისტრაციას დადგენილი წესით;
- კორესპონდენციის მიმღებთან დროულ მიწოდებასა და სხვა შესაბამის საქმიანობას.

დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე განხორციელებული შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ გიმნაზიაში დოკუმენტბრუნვა მოწესრიგებულია და მოიცავს შემოსულ, გასულ და შიდა დოკუმენტაციას. საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის (School MS) მეშვეობით, სადაც ხდება დოკუმენტების რეგისტრაცია, აღრიცხვა, შენახვა და მათი შესრულების მონიტორინგი.

შემოწმების პროცესში ასევე დადასტურდა, რომ განსაზღვრულია დოკუმენტების მიღების, დამუშავების, რეგისტრაციის, გაგზავნისა და არქივირების პროცედურები, ხოლო დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირი. ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს დოკუმენტაციის აღრიცხვის გამჭვირვალობასა და მიკვლევადობას, ხოლო პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად, აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ გიმნაზიაში დანერგილია ორგანიზებული და ეფექტიანი საქმისწარმოების სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

გიმნაზიაში 2021 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი *Schoolbook*, რომელიც ეკუთვნის შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემს“. პლატფორმა გამოიყენება სასწავლო პროცესის მართვისთვის და მასზე პასუხისმგებელია გიმნაზიის საქმეთა მმართველი, რომელიც სისტემაში ამოწმებს მონაცემებს და უზრუნველყოფს მის სწორ ადმინისტრირებას. მასწავლებლები ყოველდღიურად ავსებენ ელექტრონულ ჟურნალს, სადაც აისახება დავალებები, შეფასებები და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, ხოლო მშობლებს აქვთ წვდომა მოსწავლის შეფასებებსა და დასწრებაზე, ასევე კომუნიკაციის შესაძლებლობა მასწავლებლებთან.

2024 წლის სექტემბრიდან გიმნაზიაში ასევე დაინერგა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა იმავე კომპანიასთან, რომლის საშუალებითაც ხდება დოკუმენტების ელექტრონული რეგისტრაცია და არქივირება. გარდა ამისა, გიმნაზია იყენებს *Signify* პლატფორმას დოკუმენტების ელექტრონული ხელმოწერისთვის, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტაციის გაფორმებას. სამივე პლატფორმის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია გიმნაზიის საქმეთა მმართველი.

ინდიკატორის .მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ გიმნაზიას აქვს სრულყოფილად შევსებული პროფილი Eschool-ის სისტემაში. სისტემაში ასახულია სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია და უზრუნველყოფილია მონაცემების რეგულარული განახლება. Eschool-ის პროფილის მართვასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია გიმნაზიის საქმეთა მმართველი, რომელიც უზრუნველყოფს სისტემაში ინფორმაციის დროულ და სწორ ასახვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ გიმნაზია აქტიურად თანამშრომლობს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, მასწავლებლის სახლთან, ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრთან და სხვა შესაბამის უწყებებთან. თანამშრომლობა ხორციელდება როგორც ოფიციალური კორესპონდენციის, ისე მუდმივი კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის გზით.

აღნიშნული თანამშრომლობა დასტურდება შემოსული და გასული დოკუმენტაციით, ასევე გიმნაზიის ელექტრონული მიმოწერით, რაც ადასტურებს, რომ გიმნაზიას აქვს ეფექტიანი კომუნიკაცია და უწყვეტი უკუკავშირი პარტნიორ ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო სფეროში მოქმედ ინსტიტუციებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწამოების წესი;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
- რეგისტრაციის ჟურნალები;
- გამოცემული აქტები;
- გასული და შემოსული კორესპონდენციები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

ელექტრონული რესურსების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ გიმნაზიას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, რომელიც ასრულებს როგორც საინფორმაციო, ისე საკომუნიკაციო ფუნქციას. ასევე ფუნქციონირებს გიმნაზიის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში, რომლის მეშვეობითაც სასკოლო საზოგადოებას სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია მიმდინარე აქტივობების, მიღწევებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია რექტორის შესაბამისი ბრძანებით.

გიმნაზია მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად იყენებს ელექტრონულ პლატფორმა SchoolBook-ს. აღნიშნული სისტემა წარმოადგენს ელექტრონულ ჟურნალს, სადაც მოსწავლეთა მშობლებისთვის შექმნილია ინდივიდუალური პროფილები. პლატფორმის საშუალებით მშობლებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ შვილის საგაკვეთილო ცხრილსა და შეფასებებს, მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ, ასევე

უშუალოდ დაუკავშირდნენ საგნის მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გამჭვირვალობასა და სასკოლო საზოგადოებასთან ეფექტიან კომუნიკაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დოკუმენტაციისა და ელექტრონული რესურსების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ გიმნაზია უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ სანდო, უტყუარი და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნული ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდება გიმნაზიის ოფიციალურ ვებგვერდზე https://www.gimnazia.edu.ge/, ასევე გიმნაზიის ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში, რომელიც აქტიურად გამოიყენება სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.

ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია გიმნაზიის საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების, მიმდინარე სიახლეების, ღონისძიებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რაც ხელს უწყობს საქმიანობის გამჭვირვალობასა და დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს გიმნაზია იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ გიმნაზია ღიაა სასკოლო საზოგადოებასთან და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის, აფასებს მათგან მიღებულ უკუკავშირს და იყენებს მას საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით.

უკუკავშირის მიღება ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის, გიმნაზიის ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მეშვეობით. აღნიშნული არხებიდან შემოსული ინფორმაციის მიღებასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელია გიმნაზიის საქმეთა მმართველი, რომელიც მიღებული ინფორმაციის შესახებ დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას გიმნაზიის რექტორს, ხოლო რექტორი უზრუნველყოფს შესაბამისი რეაგირების განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გარდა ამისა, გიმნაზიაში ფუნქციონირებს „იდეების ყუთი“, რომელიც სასკოლო საზოგადოების წევრებს აძლევს საკუთარი მოსაზრებებისა და ინიციატივების გაზიარების შესაძლებლობას. აღნიშნული მექანიზმიდან მიღებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებას უზრუნველყოფს სასწავლო ნაწილი. ასევე, სისტემატურად მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა დამრიგებლებსა და მშობლებს შორის, რაც ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციასა და სასწავლო პროცესში მშობელთა აქტიურ ჩართულობას.

აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ გიმნაზიაში დანერგილია უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების მრავალფეროვანი და ეფექტიანი მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის ვებ გვერდზე https://www.gimnazia.edu.ge/ ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებგვერდის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ გიმნაზიის ოფიციალური ვებგვერდი მოიცავს ინდიკატორით მოთხოვნილ ყველა ძირითად ინფორმაციას. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია გიმნაზიის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, ორგანიზაციული სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, ჩარიცხვის პროცედურების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებისა და საკონტაქტო მონაცემების შესახებ.

აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, რაც უზრუნველყოფს გიმნაზიის საქმიანობის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და ეფექტიან კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვებ გვერდი;
- ვებგვერდის ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. გიმნაზია ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

გიმნაზიამ წარმოადგინა 2026 წლის ბიუჯეტი, რომლის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის ფინანსური რესურსები დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოფდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას. ბიუჯეტში გათვალისწინებულია როგორც ადამიანური რესურსების დაფინანსება, ასევე სასწავლო პროცესის, ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების, სასკოლო პროექტების, სასწავლო რესურსებისა და სხვადასხვა მხარდამჭერი მომსახურებისათვის საჭირო ხარჯები. ფინანსური რესურსების განაწილება ორიენტირებულია სკოლის მიმდინარე საჭიროებებისა და განვითარების პრიორიტეტების მხარდაჭერაზე, რაც ქმნის სამოქმედო გეგმის ეფექტიანად განხორციელების ფინანსურ საფუძველს.

საერთო ჯამში დასკვნის სახით შეიძლება ითქვას - ბიუჯეტის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლის ფინანსური რესურსები შეესაბამება დაწესებულების ფუნქციონირების ძირითად მიმართულებებს და ქმნის წინაპირობას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებისთვის. ფინანსური სახსრები გადანაწილებულია როგორც საგანმანათლებლო პროცესის, ისე სკოლის ადმინისტრაციული და მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებების დასაფინანსებლად, რაც ხელს უწყობს დაგეგმილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

გიმნაზიაში ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და მართვაზე პასუხისმგებლობა განაწილებულია რექტორსა და ბუღალტერს შორის, რაც უზრუნველყოფს ფინანსური პროცესების ეფექტიან კოორდინაციას. გიმნაზიის ბიუჯეტი ფორმირდება სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების გათვალისწინებით, რის საფუძველზეც ხდება დაგეგმილი აქტივობების ფინანსური უზრუნველყოფა. ბუღალტერი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს საბუღალტრო დოკუმენტაციას და ახორციელებს ფინანსური ოპერაციების აღრიცხვას.

გიმნაზიას შემუშავებული აქვს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება არაკომერციული იურიდიული პირისათვის დადგენილ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების გამჭვირვალე და მიზნობრივ მართვას. ფინანსური ანგარიშგება მზადდება კვარტალური და წლიური პერიოდულობით და წარედგინება საპატრიარქოს ფინანსურ განყოფილებას და ასევე ვაუჩერის ხარჯვის ნაწილში ადგილობრივ რესურსცენტრს, რაც ხელს უწყობს ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგსა და დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების ფინანსურ კონტროლს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გიმნაზიის 2026 წლის ბიუჯეტილ
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

გიმნაზიის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლეები და მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ გიმნაზიაში მიმდინარე პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რაზეც სამივე საფეხურზე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრისას თავისუფლად გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს და იხსენებდნენ კონკრეტულ აქტივობებს, რომელთა დაგეგმვასა და განხორციელებაშიც მიიღეს მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები და გასაჩივრების წესი დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და გიმნაზიის დირექციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და გიმნაზიის შინაგანაწესში. იგი რეგულირდება გიმნაზიის რექტორის N2-50 ბრძანების საფუძველზე, სადაც ვკითხულობთ: „მოსწავლისთვის მათი უფლებების და გიმნაზიის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული მოსწავლისთვის ახორციელებს კლასის დამრიგებელი მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაცია ასახულია მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და გიმნაზიის დირექციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებსა. იგი გამჭვირვალეა და გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე. ამავე დროს, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში გიმნაზიის ადმინისტრაციის ან/და კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ყველა მოსწავლეს ეგზავნება გიმნაზიის შინაგანაწესი და ხელშეკრულება. გიმნაზიის შინაგანაწესში ვკითხულობთ: „გიმნაზიის ყველა მოსწავლეს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ უფლება - თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი. ამავე დროს, ხელშეუხებელი უნდა იყოს მათი რელიგიური თავისუფლება. აქვთ უფლება, არ გაამჟღავნონ მათი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაცია და სხვა.... საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, მოსწავლეს და მათ მშობლებს/ კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ უფლება, გიმნაზიის რექტორთან წარადგინონ საჩივარი/მოთხოვნა თავისი უფლებების დარღვევის გამო. სკოლის შინაგანაწესში (მუხლიN9) გაწერილია უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები.“

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

გიმნაზიაში მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიოა. ამავე დროს, სკოლის ვებგვერდზე:www.gimnazia.edu.ge -ზე გაზიარებულია მოსწავლის და მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი: გიმნაზიის რექტორის ბრძანება: მოსწავლის, პერსონალის,მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმის დამტკიცების შესახებ.“ 26 აგვისტო, 2024 წელი და გიმნაზიის შინაგანაწესი

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გინაზიის შინაგანაწესი
- გიმნაზიის რექტორის ბრძანება: „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმის დამტკიცების შესახებ,“- .26 აგვისტო, 2024 წელი.
- მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და გიმნაზიის დირექციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

გიმნაზიის ვებ-გვერდზე www.gimnazia.edu.ge გამოქვეყნებულია „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბრის N2-99 ბრძანებით აიპ-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება-საქართველოს საპატრიარქოს რუის-ურბნისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის რექტორის მიერ. აღნიშნული წესი მკაფიოა და შეესაბამება კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

გიმნაზია იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რომელიც ეყრდნობა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის N05/ნ ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“. გიმნაზია, კანონმდებლობის შესაბამისად, კლასის და საფეხურის დაძლევის დროს მართავს პედაგოგიური საბჭოს სხდომას, შედგება ოქმი და ოქმის საფუძველზე იქმნება ბრძანება კლასის და საფეხურის დაძლევის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

გიმნაზია ვებგვერდის www.gimnazia.edu.ge-დახმარებით ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ პირებს გიმნაზიის მომსახურების, პირობების და პროგრამების შესახებ. ამ გზით გაზიარებულია „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი“, რომელშიც აღნიშნულია მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, მოსწავლის მობილობის შესახებ ინფორმაცია. ამავე დროს, აღნიშნულია, რომ დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება გასაუბრების ან/და გამოცდის საფუძველზე, რათა დადგინდეს მოსწავლის ცოდნისა და უნარების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მიღწევის დონესთან, ცალკეულ საგნებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

გიმნაზიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სერვისების, პროგრამების, აქტივობებისა თუ რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „მოსწავლეთა ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი „
- სკოლის ვებგვერდზე www.gimnazia.edu.ge განთავსებული დოკუმენტაცია:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

გიმნაზიას აქვს პრაქტიკა, გიმნაზიაში ჩარიცხულ მოსწავლეს გარემოსთან ადაპტაციისთვის განახორციელოს მხარდამჭერი აქტივობები. ადაპტაციის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, თუმცა, ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კლასის დამრიგებელს, რომელიც გეგმავს და

ახორციელებს სადამრიგებლო კლასთან, მშობლებთან და დირექციასთან ერთად კონკრეტულ აქტივობებს, რათა გინმაზიაში გადმოსულმა მოსწავლემ უკეთ შეძლოს ადაპტირება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

გიმნაზიის გარემოში მოსწავლეთა ადაპტაციის დროს გიმნაზია ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს,ინტერესებს, განვითარების დონეს და შესაბამისად, ხორციელდება სასკოლო გარემოსა და სივრცის ადაპტირებაც.

გიმნაზიაში მეოთხე კლასის გამოსაშვებ ღონისძიებაზე მომავალი პირველკლასელები იღებენს სიმბოლურ საჩუქრებს. მომავალი პირველკლასელები აღნიშნულ ღონისძიებაზე სასკოლო საზოგადოებისგან გრძნობენ პოზიტიურ დამოკიდებულებას, ხდება საკლასო სივრცის, საერთო სარგებლობის სივრცეების მონახულება, პედაგოგებისა და მომავალი თანასკოლელების გაცნობა, რაც ხელს უწყობს პირველკლასელთა ტრანზიციის პროცესს. გიმნაზიის სტუმრები, მშობლები და მომავალი მოსწავლეები იღებენ სათანადო კონსულტაციას გიმნაზიაში მიმდინარე სასკოლო აქტივობებსა და მოსწავლეთა მიღწევების შესახებ, რაც ამავე დროს ამარტივებს მოსწავლეთა ტრანზიციის პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეები გიმნაზიისგან იღებენ სათანადო მხარდაჭერას, რათა გააუმჯობესონ აკადემიური მიღწევები. გიმნაზიაში მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები წლიური გამოცდების, საშემოდგომო გამოცდების, ექსტერნის გამოცდების ან/და საჭიროებების შემთხვევაში. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები და მოსწავლეები მუდმივად იღებენ ინფორმაციას მათი აკადემიური მიღწევების შესახებ, განმსაზღვრელ თუ განმავითარებელ შეფასებებს. მოსწავლეები საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ სკოლის რესურსებით

მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს მოსწავლეები და მათი მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები გამოხატავდნენ პოზიტიურ დამოკიდებულებას გიმნაზიაში დანერგილ ზემო აღნიშნულ პრაქტიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

გიმნაზია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას მოსწავლეებს, რათა მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზება მოხდეს. გიმნაზიას აქვს შინაგანაწესი, აგრეთვე „მოსწავლეთა ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი“, რომლის ფუნქციონირებას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს გიმნაზიის დირექცია და ადმინისტრაცია. გიმნაზია საკთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. მოსწავლეებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ გიმნაზია დროულად აწვდის ინფორმაციას ნებისმიერი კლასის მოსწავლის მობილობის ვადების, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და სხვათა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

გიმნაზია საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას. გიმნაზიას საქმიწარმოების წესში გაწერილი აქვს ყველა საქმის წარმოების კანონმდებლობით დადგენილი ვადები, რომელიც არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

გიმნაზია ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს არა მარტო სხვადასხვა წრეში აქტიურად იყოს ჩართული, არამედ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სათანადო კვალიფიკაციის პერსონალითაც იყოს უზრუნველყოფილი. გიმნაზიაში ფუნქციონირებს ხატვის წრე, ვიზუალური დაპროგრამება - web builder-ის, wix პლატფორმაზე და ჭადრაკის წრე. მოსწავლეთა ინიციატივით გიმნაზია ახორციელებს სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებას. მოსწავლეთა ინიციატივით, კულტურისა და ისტორიის ძეგლების გაცნობის მიზნით და წმინდა ადგილების მოსალოცად, განხორციელდა ექვსკურსია საბერძნეთში, კვიპროსზე, რომში, რომლის მიზანი იყო ისტორიული თვალსაწიერის გაფართოება, სულიერი ღირებულებების გააზრება. მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო „მოგზაურობა რომში“, სადაც მოსწავლეები გაეცვნენ რომის/ვატიკანის ხელოვნების ნიმუშებს, მოილოცეს წმინდა ადგილები: წმინდა პეტრეს ტაძარი, წმ.პავლეს წამების ადგილი, კატაკომბები, მოინახულეს კოლიზეუმი, ესპანეთის მოედანი, პართენონი, ტრევის შადრევანი.

მოსწავლეთა ინიციატივით, ბიბლიის უკეთ შესწავლისა და საღვთო სჯულის მუსიკის გასაცნობად მოსწავლეებმა დაიწყეს ქართული საგალობლების შესწავლა. გიმნაზიამ უზრუნველყო შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის მოწვევა სადამრიგებლო პროექტის „წარმატებული ადამიანი“ ფარგლებში. პროექტის მიმდინარეობისას მოსწავლეებმა ჩაწერეს ინტერვიუები წარმატებულ ადამიანებთან და მიიღეს შესაძლებლობა მოესმინათ მათი ხედვები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რა არის წარმატება, რა პიროვნული თვისებებია საჭირო წარმატების მისაღწევად და ვინ შეიძლება გახდეს წარმატებული ადამიანი.

გერმანული ენისა და კულტურის გაცნობის მიზნით, მოსწავლეები გოეთეს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონკურსში ,,Superkraft Deutsch'' მიიღეს მონაწილეობა. ისინი სახალისო აქტივობებით გაეცვნენ გერმანულ ენასა და კულტურას, ენის სრულყოფილად შესწავლისკენ გადადგეს აქტიური ნაბიჯები.

გიმნაზიის მოსწავლეებმა საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის, გერმანიის საელჩოს, გერმანული ენის მასწავლებელთა ასოციაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პროექტში „Deutsch für Groß und Klein“ მიიღეს აქტიური მონაწილეობა.

გიმნაზიის ორგანიზებით ჩატარდა კონკურსი „ზღაპრების სამყარო“. კონკურსი მიმდინარეობდა გერმანულ ენაზე და მონაწილეობდა კლასების რაიონის ოთხი სკოლის ექვსი გუნდი. V-VII მოსწავლეებმა გერმანული ზღაპრების სამყაროში იმოგზაურეს, გაეცვნენ გერმანული ენისა და კულტურას, გაიუმჯობესეს ენობრივი უნარები.პროფორიენტაციის მიმართულებით მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით და მოსწავლეთათვის პროფესიის სწორად არჩევის მნიშვნელობის გასააზრებლად განხორციელდა პროექტი „ჩემი მომავალი პროფესია“. მოსწავლეები შეხვდნენ სხვადასხვა პროფესიის წარმატებულ მშობლებს, დაფიქრდნენ პროფესიის სწორად არჩევის მნიშვნელობაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში გიმნაზია მოსწავლეთა საწარმოო გუნდით, სამეწარმეო უნარების დახვეწის მიზნით, მონაწილეობს“ **Junior Achievement Georgia ჯუნიორ ეჩივმენი საქართველო“**-ს ორგანიზებულ სამეწარმეო ფესტივალზე. მოსწავლეებმა წარადგინეს ხელნაკეთი ნივთები.

მოსწავლეებში მდგრადი განვითარების მიზნების და სამოქალაქო პასუხისმგებლობის უნარების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სასკოლო ინტეგრირებული პროექტი გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში „მწვანე ტექნოლოგიები და სამოქალაქო პასუხისმგებლობა“.

სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენების მნიშვნელობის გასააზრებლად ჩატარდა პროექტი: „სახალისო მათემატიკა“. პროექტის განხორციელების შედეგად ამაღლდა მოსწავლეთა ინტერესი ონლაინ პლატფორმების მიმართ. მოსწავლეებმა ისწავლეს kahoot.com- ში მუშაობა, გაიცნეს თანატოლები სხვადასხვა სკოლებიდან და ერთობლივი აქტივობები განახორციელეს.

გიმნაზიის მოსწავლეთა მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ კონკურსში-„ყველაზე წიგნიერი გუნდი“, სადაც შეძლეს შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების უნარების გამოვლენა და საპრიზო ადგილის დაკავება.
მოსწავლეებში გარემოს დაცვის, ბუნების სიყვარულისა და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის განვითარების მიზნით განხორციელდა ინტეგრირებული პროექტი მუსიკასა და ბუნებისმეტყველებაში „დედამიწის დღე“. მოსწავლეებმა გააცნობიერეს დედამიწისა და გარემოს დაცვის მნიშვნელობა, გამოავლინეს ბუნებისადმი სიყვარული და აქტიურად ჩაერთნენ პროექტის განხორციელებაში, შეასრულეს სიმღერები დედამიწის თემაზე. დედამიწა მოხატეს სკოლის ეზოში.
გიმნაზიაში მოსწავლეთა ინიციტივით ჩატარდა ვიქტორინა ფიზიკაში. მოსწავლეებმა შეძლეს, გაეღრმავებინათ თეორიული ცოდნა ფიზიკაში და გამოიმუშავეს ურთიერთთანამშრომლობის უნარ-ჩვევები.
გიმნაზიაში ყოველწლიურად ტარდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადა მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფეხბურთში, სადაც მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ. აღნიშნული აქტივობის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მისი დანერგვის ხელშეწყობა.
მოსწავლეებში გარემოზე ზრუნვის, პასუხისმგებლობისა და ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, განხორციელდა პროექტი: „დედამიწა ჩვენი სახლია“. მოსწავლეებმა გაანალიზეს „დედამიწის დღის“ მნიშვნელობა, დაფიქრდნენ საკუთარ როლზე გარემოს სისუფთავის შენარჩუნებაში.
გიმნაზიაში განხორციელდა სასკოლო პროექტი“არა ბულინგს“. მოსწავლეებმა ისაუბრეს ბულინგის ნეგატიურ გავლენაზე.
გიმნაზიის მოსწავლეები ყოველწლიურად აქტიურად იღებენ მონაწილეობას საპატრიარქოს პროექტში „ნახატები ბიბლიურ თემაზე“ და სხვა....
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე გიმნაზია აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

გიმნაზია მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ მოსწავლეებისგან, მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან სისტემატურად ითხოვს აზრის გამოთქმას ზეპირი გამოკითხვებით, კითხვარებითა და სხვა მეთოდებით. გიმნაზია აანალიზებს უკუკავშირების შედეგს და სათანადოდ რეაგირებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი
- წრეების დებულებები
- შეხვედრებისა და ღონისძიებების ამსახველი მასალა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება შეხვედრა გიმნაზიის საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან -პროფესიული ორიენტაციის მიზნით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

პროფესიული ორიენტაციის მიზნით, გიმნაზია სისტემატიურად უზიარებს ინფორმაციას მოსწავლეებსა და მოსწავლეთა მშობლებს. პროფესიულ ორიენტაციაში მოსწავლეებს ეხმარება გიმნაზიაში მოქმედი ვებ-პროგრამირების წრე და არჩევითი საგანი: „მეწარმეობის საფუძვლები“, სადაც მოსწავლეები სწავლობენ საწარმოს შექმნას და მართვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

გიმნაზია აანალიზებს უკუკავშირების შედეგებს და პროცესების გაუმჯობესების მიზნით, სათანადო რეაგირებას ახდენს. აღნიშნული უკუკავშირების გათვალისწინებით გიმნაზია ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სადამრიგებლო პროგრამები;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

ამ ეტაპზე გიმნაზიას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. საჭიროების შემთხვევაში გიმნაზია განახორციელებს სსსმ მოსწავლეთა მომსახურებას მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ამ ეტაპზე გიმნაზიას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა დაეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული, გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს კვების სერვისს, რომელიც ნებაყოფლობითია. გიმნაზიის სატრაპეზოში დანერგილია haccp-სტანდარტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

თვითშეფასებაში გიმნაზია აღნიშნავს, რომ გიმნაზიის მხრიდან შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ნებისმიერი ფორმა ეფუძნება ნებაყოფლობითობის პრინციპს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

გიმნაზიის სატრაპეზოს მოპოვებული აქვს შესაბამისი უფლებები; არის ბიზნეს-ოპერატორი; დანერგილი აქვს haccp და რეგულარულად გადის სურსათის უვნებლობის სამსახურის კონტროლს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- Haccp სერტიფიკატი
- სურსათის უვნებლობის სამსახურის შემოწმების აქტები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება (ესთეთიკური აღზრდა)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1	☐ შეესაბამება

კურიკულუმის შემუშავება	☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.2 **კურიკულუმის განხორციელება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.3 **კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.4 **კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

გიმნაზიას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობითა და ჩართულობით არის შექმნილი. სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია, აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს ერთის მხრივ, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, მეორეს მხრივ კი, საგნობრივ კათედრებზე. ეს ქმნის სივრცესა და შესაძლებლობას კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. გიმნაზიას აქვს პრაქტიკა, კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინოს წინა წელს შეგროვებული მონაცემები. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმი იქმნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
კათედრებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმის შექმნასა და განვითარებაში მასწავლებლებს, კათედრებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ, რაც ასახულია სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში“.

მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი, მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობები განხილვის საგანია კათედრაზე და ამ განხილვაში კათედრის თითოეული წევრია ჩართული. კათედრაზე მსჯელობენ არა მარტო შესასწავლი თემების, საკითხებისა და ქვესაკითხების შესახებ, არამედ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებულ შემოქმედებით დავალებებზე, ძირითად და დამხმარე რესურსებზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებისას სასკოლო საზოგადოება თამამად საუბრობდა სასკოლო ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობასა და კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობის შესახებ. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

გიმნაზიის მისიაა, შექმნას სწავლის მასტიმულირებელი გარემო, რათა ქრისტეანულ ღირებულებებზე დაყრდნობით, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, აღზარდონ ინტელექტუალურად განვითარებული ახალგაზრდები. გიმნაზიის პრიორიტეტულ ღირებულებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ ფაქტს, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და სასკოლო საზოგადოებას შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას. ამავე დროს, გიმნაზია უზრუნველყოფს მაღალი პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვას (მისია, ხედვა, ღირებულებები).

გიმნაზიას „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში“ აღნიშნული აქვს, რომ გიმნაზია პროცესების დაგეგმვისას შემდეგი ძირითად პრინციპების ერთგულია: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

გიმნაზიის კურიკულუმი გაზიარებული და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სასწავლო კურიკულუმები განხილულია კათედრის სხდომებსა და პედსაბჭოზე, რასაც ადასტურებს შესაბამისი ოქმები. კურიკულუმში ასახული შემოქმედებითი დავალებები, შეფასების კრიტერიუმები და ცალკეული აქტივობებიც კლასის დამრიგებლებმა და საგნის მასწავლებლებმა გააცნეს მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მშობელთა კრებებზე. გიმნაზია სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს მშობელთა კრებებს, გიმნაზიის ვებ-გვერდს, ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს, პირად კონტაქტებს, დახურულ ჯგუფებსა და ჩათებს და სხვა

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მშობელთა კრების ოქმიN3;

- პედსაბჭოს ოქმი N5;
- მისია, ხედვა, ღირებულებების დოკუმენტი;
- სტრატეგიული დაგეგმბის, მონიტორინგისა და შეფასების წესი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	გიმნაზიამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები სამივე საფეხურის ყველა კლასისათვის. შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. როგორც პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში პედაგოგებს გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები, რათა ახალი სასწავლო წლის პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ასევე წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები და გიმნაზიაში არსებული რესურსები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ ყველა საგანში („მე და საზოგადოება“, ისტორია, გეოგრაფია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა და პროექტული სწავლება მოქალაქეობაში) სამივე საფეხურზე წარმოდგენილი და შემუშავებული კურიკულუმები ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განვითარებას. თითოეული საგნის კურიკულუმში უმეტესად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. ამასთანავე, გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელთა გათვალისწინება სასურველია კურიკულუმების შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით: **რჩევა :** • სასურველია, სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში შემოქმედებითი ტიპის დავალებები უფრო მეტი მუშავდებოდეს ყველა თემის ფარგლებში.

	სასურველია, მე-10 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმი გასწორდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების შესაბამისად. კერძოდ, კურიკულუმში მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი ორი სავალდებულო თემა: • გლობალური მოქალაქეობა; • სამართლებრივი კულტურა. ამჟამად კურიკულუმში მოცემული თემები გადანაწილდეს შესაბამისი სავალდებულო თემების ფარგლებში საკითხების სახით, შინაარსობრივი შესაბამისობის დაცვით.სასურველია, კათედრა შეთანხმდეს ერთიან საგნობრივ კურიკულუმო ჩარჩოზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმების სტრუქტურულ და შინაარსობრივ თანმიმდევრულობას, ერთიან მიდგომებსა და შეფასების საერთო პრინციპების დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	პირველი და მეორე უცხოური ენების სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურების დონეზე. შემუშავებული კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რაც შექმნილია მათი ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ამასთან, თვალსაჩინოა არაფორმალური აქტივობების მიმართულებაც, რაც ასახულია სხვადასხვა სასწავლო პროექტში და რაც მნიშვნელოვნად ხელშემწყობი ფაქტორია, რომ მოსწავლეს განუვითარდეს საჭირო უნარები რეალურ კონტექსტში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები სამივე საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე მუსიკის საგანში, ორიენტირებულია მოსწავლეზე და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. თითოეული საგნის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. კურიკულუმების ფორმირების პროცესში გიმნაზია პრიორიტეტულად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. დასკვნის პროექტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკის საგნის კურიკულუმი სრულად არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ვინაიდან III და VI კლასების კურიკულუმებში არ იყო გათვალისწინებული ცალკეული სავალდებულო თემები და რიგ შემთხვევებში თემების ფორმულირება არ შეესაბამებოდა საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. აღნიშნული გარემოების საფუძველზე ინდიკატორი დაწყებით საფეხურზე შეფასდა როგორც არადამაკმაყოფილებელი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე – დაკმაყოფილებულად.

	თუმცა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გიმნაზიამ წარმოადგინა III და VI კლასების განახლებული მუსიკის კურიკულუმები, რომლებშიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემა და დაზუსტებულია თემების ფორმულირებები ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკის საგნის კურიკულუმში გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია და უზრუნველყოფილია საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობა. შესაბამისად, დაწყებითი საფეხურის მუსიკის საგნის კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და **ინდიკატორი სამივე საფეხურზე შეფასებულია როგორც დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. თემატური კონტექსტები მორგებულია მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. საგანთა სწავლა-სწავლების პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის მაღალი სააზროვნო უნარების, გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას, შესაბამისი საფეხურის უნარებზე დაყრდნობით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ მიერ შედგენილი კურიკულუმები ეფუძნება ესგ-ს საგნობრივ სტანდარტებსა და მეთოდოლოგიური ორიენტირების მოთხოვნებს. მათთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, მოსწავლის აქტიური ჩართულობა და მოტივაციის ამაღლება; გათვალისწინებულია მათი ინტერესები, შესაძლებლობები, წინარე ცოდნა, გიმნაზიაში არსებული რესურსები. სსგ-ში ვეცნობით, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგნების არჩევანი განაპირობა სასწავლებლის პროფილმა. საგანი - მედავითნეობა საბაზო საფეხურზე (VII –X) ისწავლება, მიზანი კი ძველი ქართული დამწერლობის ცოდნაა. **რჩევა:** სასურველია,ყველა საფეხურზე,სახელმწიფო ენის კათედრაზე მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების გასააქტიურებლად, მეტი ყურადღება დაეთმოს: ა) საგანთა შორის ინტეგრირების პროცესს; გ)პროექტულ სწავლებას. მასწავლებლებმა გაითვალისწინონ საბაზო საფეხურის საგნობრივი სპეციფიკა (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული თემები) და სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ შესაბამისი კონტექსტმაგალითებით. . **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.**
მათემატიკა	მათემატიკის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდების დაგეგმვა და განვითარების გზა.კლასების მიხედვით წარმოდგენილია თემები, სამიზნე ცნებები -

	მათზე მორგებული შემოქმედებითი დავალებები და შესაბამისი რესურსები.ასევე შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია რძელვადიანი მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ,რომ შესრულებული აქვთ სხვადასხვა აქტივობები,თუ პროექტი,რომლის ამსახველი დოკუმენტები მოგვიანებით იქნა წარმოდგენილი. წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად შეესაბამება სტანდარტებს, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურის კლასისებისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმი შეესაბამება მესამე თაობის ე.ს.გ. სტანდატებს). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგან ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემის სწავლება. საკითხები დალაგებულია ისე , რომ მოსწავლისათვის შედეგის მიღწევა უფრო ხელსაყრელი იყოს. კურიკულუმში შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად დაგეგმილია კომპლექსურები, პროექტები ან სხვა შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. სასწავლო პროცესი თანხვედრაშია საგნობრივ კურიკულუკუმთან , რაც დადასტურდება შესრულებული აქტივობების საფუძველზე, (შემოქმედებითი პროდუქტის ამსახველი ფოტომასალა, შესრულებული დავალების ნიმუშები, რეფლექსიები.) **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმი თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. იგი შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. კურიკულუმში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომები და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რაც გულისხმობს სამიზნე ცნებების საშუალებით სასწავლო საკითხებისა და თემების სწავლა-სწავლებასა და მათ რეალიზებას ცხოვრებისეულ სიტუაციებში. გრძელვადიანი მიზნები გაწერილია სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, ხოლო სამიზნე ცნებები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საფეხურებრივ შედეგებს.

	რჩევა: სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს საგანთა ინტეგრირების პროცესს, ხოლო შემაჯამებელი დავალებების ტიპები შერჩეული იყოს იმგვარად, რომ მეტად იყოს ორიენტირებული მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ესგ გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ, კურიკულუმის საგნობრივ ჩარჩოებში გაწერილია სავალდებულო თემები ,რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა შედეგები და სამიზნე ცნებები. პედაგოგთა გასაუბრების დროს მათ მიეცათ შესაბამისის რეკომენდაციები,რომლის მიხედბით მოახდენენ სამივე საფეხურზე ტავიანთი საგნის კურიკულუმის რევიზირებას. **რჩევა:** • სასურველია საზოგადოებრივი მეცნირებების ყველა საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩოში ყველა თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე წარმოდგენილი იყოს კომპლექსური ბუნების დავალების იდეა, ასევე თითოეული თემის შესასწავლი საკითხის ფარგლებში განსაზღვრული აქტივობები,რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებს,რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლის შედეგი მიღწეულად მიიჩნევა, როცა მოსწავლეს შეუძლია საგნობრივ საკითხთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება, გაანალიზება და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება. • საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალ ყველა საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს სამი სამივე საფეხურზე პედაგოგებმა იხელმძღვანელონ ესგ ბოლო ვერსიით და შესაბამისი საგნობრივი სტანდარტებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს კურიკულუმის ყველა კომპონენტის ლოგიკურ და თანმიმდევრულ კავშირზე — თემის, საკითხის, სამიზნე ცნებების, შედეგებისა და შემოქმედებითი დავალებების იდეების ურთიერთ შესაბამისობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	პირველ და მეორე უცხოური ენების წარმოდგენილ კურიკულუმებში, სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მეთოდური რეკომენდაციები და მათი შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე მუსიკის საგანში) შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტებს. მასში ინტეგრირებულია სავალდებულო თემები/ თემატური ბლოკები და საორიენტაციო თემები, საკითხები, რომელთა ფარგლებშიც, კონკრეტულ საკითხებზე დაყრდნობითა და შუალედური მიზნების საშუალებით, ხორციელდება სამიზნე ცნებების დამუშავება. კურიკულუმში მოცემულ შუალედური მიზნის დავალებებში, შინაარსობრივ მხარესთან ერთად, მკაფიოდ არის განსაზღვრული მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. თუმცა, დასკვნის პროექტის ფარგლებში დაწყებითი საფეხურის მუსიკის საგანში გამოვლინდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის ხარვეზები. კერძოდ, სავალდებულო თემები რიგ შემთხვევებში არასწორად იყო ფორმულირებული და არ უზრუნველყოფდა შეფასების შესაძლებლობას. აღნიშნულის საფუძველზე, ინდიკატორი დაწყებით საფეხურზე შეფასდა როგორც არადამაკმაყოფილებელი, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე – დაკმაყოფილებულად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და დამატებითი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ გიმნაზიამ წარმოადგინა III და VI კლასების განახლებული კურიკულუმები, რომლებშიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები და დაზუსტებულია თემების ფორმულირებები ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკის საგნის კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და **ინდიკატორი შეფასებულია როგორც დაკმაყოფილებული.**
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში წერია, რომ გიმნაზიის თითოეული საგნობრივი კურიკულუმი შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნებისა. კურიკულუმის განვითარებისა და დაგეგმვის გზა წინასწარ განისაზღვრება მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, მოიცავს ყველა სამიზნე ცნებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები მთავარ მიზნობრივ მახასიათებლებად არის მიჩნეული. გიმნაზიის მიერ გადმოგზავნილი კურიკულუმის შესწავლის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ საფეხურის ფარგლებში გიმნაზიას აქვს სტანდარტის შესაბამისი კურიკულუმის შექმნის პრაქტიკა, თუმცა მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისას, არსებული კურიკულუმები აუცილებლად საჭიროებს გადახედვასა და მოდიფიცირებას.

	რჩევა: სასურველია, (სამივე საფეხურზე).კათედრა ხელმძღვანელობდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ფორმით. კურიკულუმის თითოეული სვეტით გათვალისწინებული ინფორმაცია სრულად და მიზნობრივად იქნას შევსებული: სასწავლო თემის ფარგლებში დამუშავდეს სტანდარტით გაწერილი ყველა სამიზნე ცნება, დაზუსტდეს ქვეცნებები და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად განსაზღვრული საკითხები არჩევითი საგნის- მედავითნეობის კურიკულუმებში გაწერილი სწავლების მიზნები/შედეგები იყოს მკაფიო და გაზომვადი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მორგებულია ესგ--ით განსაზღვრულ გრძელვადიან გეგმებზე და სტანდარტის შედეგებზე.წარმოდგენილი თემები და მათზე მორგებული სამიზნე ცნებები სწორად და ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან,რაც უზრუნველყოფს დადგენილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნების მიღწევას. კურიკულუმებში ასევე მიზნებთან შესაბამისობაშია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებაზე და საგანთა შორის ინტეგრირებაზე. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის ორგანიზებას და ურთიერთთანამშრომლობას;რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზნებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსაკენ. შემოქმედებითი პროდუქტებში ჩანს მოსწავლეების შემოქმედებითი თუ სხვა უნარების განვითარების გზები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მეთოდური რეკომენდაციები და მათი შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შედეგების მიღწევას. შერჩეულია ისეთი ტიპის შუალედური დავალებები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი , სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.

	რჩევა: ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში(II კლასი) დააკონკრეტეთ კონკრეტული დავალებით რომელი სამიზნე ცნება მუშავდება. ასევე გამოყავით ამავე ცნების კონკრეტული ქვეცნებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმის მიხედვით, გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად რესურსებად გამოიყენება ვიდეო და აუდიომასალები, სხვადასხვა ინტერნეტბმულები. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიას, რაც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას ნამდვილად სასარგებლო რესურსია ისეთი პროცესებს დასანახად და გასააზრებლად, რომლებიც არ არის ხილული. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები ძირითადად მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. თუმცა, პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში ისინი აქტიურად იყენებენ დამატებით რესურსებს, როგორიცაა სასწავლო რუკები, თემატური ვიდეორგოლები, ანიმაციები და სხვა ვიზუალური მასალა, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას. **რჩევა:** სასურველია, გეოგრაფიის XI და XII კლასის კურიკულუმებში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში ,რაც გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოწმობს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მოსწავლის ასაკის, ინტერესების და საჭიროების გათვალისწინებით. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად კურიკუმში ასახულია დამხმარე რესურსებიც, რაც შეესაბამება გაკვეთილის მიზანს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება (ხელოვნება, მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) წარმოდგენილია, როგორც ძირითადი სასწავლო რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე მრავალფეროვანი დამხმარე მასალა: ვიდეომასალა, ინტერნეტ პლატფორმები და შესაბამისი ელექტრონული ბმულები. აღნიშნული რესურსები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სრულფასოვნად გაეცნონ სასწავლო საკითხებს და შექმნან შემოქმედებითი პროდუქტები. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ანალიზი ადასტურებს, რომ ისინი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია. **რჩევა:** სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში: ✓ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმის შემუშავებისას გადამოწმდეს მითითებული ელექტრონული ბმულების/ლინკების ფუნქციურობა და ვალიდურობა; ✓ მუსიკის საგანში თითოეული რესურსი სასურველია დაკონკრეტდეს შინაარსობრივი მახასიათებლების მიხედვით; მაგალითად, ზოგადი მითითების ნაცვლად — „სამინისტროს რესურსი“ — მიეთითოს კონკრეტული დასახელება, ავტორი, პლატფორმა და პირდაპირი ბმული; ✓ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/მუსიკის საგანში სასურველია თემატური ბლოკის/თემის/საკითხის დამუშავებისას მაქსიმალურად გამოიყენოს ლოკალური კულტურული მემკვიდრეობა, რაც სწავლის პროცესს უფრო შემეცნებით, ემოციურსა და დასამახსოვრებელს გახდის.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესი დაგეგმილია ძირითადი - გრიფირებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე - როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსების გამოყენებით. თვითშეფასების ჩანაწერის თანახმად, არსებული კურიკულუმები ეხმარება მოსწავლეს საფეხურის მიზნების მიღწევაში, სთავზობს მრავალფეროვან რესურსებს და უქმნის პირობებს იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც თავის მხრივ, დადებით დამოკიდებულებას უყალიბებს სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ. **რჩევა:** სახელმწიფო ენის კათედრაზე (სამივე საფეხურებზე). სასურველია, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, მოსწავლეთა ინტერესის ამაღლების და საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, მეტი აქცენტი გაკეთდეს ელ. რესურსების (ანიმაციების, ფილმების, პოდკასტების) გამოყენებაზე კონტექსტური პარალელებისთვის დამატებით უცხოური და ქართული ლიტერატურის შეთავაზება. რესურსის, რომელიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და დაეხმარება მათ სტანდარტით განსაზღვრული საგნობრივი ცნებებისა და საკითხების ათვისებაში, უნივერსალური ლიტერატურული მოტივების (/თემების) წვდომა-გააზრებაში (საბაზო, საშუალო). **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსები სწორად არის შერჩეული თემასა და სამიზნე ცნებებთან მიმართებაში,რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.უხვად არის გამოყენებული ელექტრონული რესურსები ,რაც მიუთითებს სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებზე.გასაუბრებისას დადგინდა,რომ ნამდვილად აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.ასევე დადგინდა ,რომ გიმნაზიას აქვს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი რესურსები,რომლებიც სრულ თანხვედრაშია შესაბამის თემასა და მიზნებზე.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა:** *საშუალო საფეხურზე,რესურსებში მითითებული დამხმარე ,თუ გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან მითითებული იყოს კონკრეტული გვერდი და თემა ,რომელსაც მასწავლებელი იყენებს იმ კონკრეტული სამიზნე ცნებისთვის.საშუალო საფეხურზე ელექტრონული რესურსების უფრო მეტად გამოყენება საინტერესოს და ეფექტურს გახდის სწავლების პროცესს.ყურადღება მიექციოს ელექტრონული რესურსების გამართულობას,*
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის გზების ძიება. სამივე საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასის კურიკულუმებში მითითებულია დამატებითი სახელმძღვანელოები,სხვადასხვა ელექტრონული რესურსები. რომლის ვებ. გვერდებიც მოქმედია და ემსახურება სამიზნე ცნებების/ქვეცნებების უკეთ გააზრებას და კურიკულუმში დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. გიმნაზიას არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამივე საფეხურზე — **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე — სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებსა და რესურსებს, რათა ყველა მოსწავლეს ჰქონდეს სასწავლო მიზნების მიღწევის შესაძლებლობა.მათივე განმარტებით, გაკვეთილებზე აქტიურად გამოიყენება დიფერენცირებული დავალებები, რაც მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. სასწავლო პროცესში, საჭიროების

	შემთხვევაში, პედაგოგები ამარტივებენ სასწავლო ტექსტებს, დავალებებს ანაწილებენ ეტაპებად და იყენებენ მრავალფეროვან ვიზუალურ რესურსებს — სქემებს, რუკებს, თვალსაჩინოებებსა და სხვა დამხმარე მასალებს.გარდა ამისა, მოსწავლეებს ეძლევათ დამატებითი დრო და ინდივიდუალური მხარდაჭერა, რაც სასწავლო პროცესს უფრო ხელმისაწვდომსა და ეფექტიანს ხდის, ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს უწყობს თითოეული მათგანის შესაძლებლობების შესაბამისად განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და დაგეგმილ აქტივობებში იკვეთება დიფერენცირებული მიდგომა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტებში, შუალედურ სასწავლო მიზნად მოიაზრება კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები. ინტერვიუს დროს, კათედრის წევრებმა სიღმისეულად ისაუბრეს პრაქტიკაში დანერგილ სხვადასხვა დიფერენცირებული ინსტრუმენტებსა თუ აქტივობებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება მუსიკა)) სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ შუალედური/კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცირებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში: ✓ ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, კურიკულუმში სასურველია აისახოს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ როგორ ადაპტირდება დავალებები სხვადასხვა აკადემიური საჭიროებისა და დონის მქონე მოსწავლეებისთვის; ✓ კურიკულუმის ფარგლებში თემისა თუ საკითხის დამუშავებისას, შუალედური სასწავლო მიზნები სასურველია შეირჩეს და ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციაში ვეცნობით, სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია როგორც საგანი, კლასი, სახელმძღვანელო, ასევე თითოეული მოსწავლის ინტერესი, შესაძლებლობები და საჭიროებები. მოსწავლის მხარდასაჭერად შექმნილია მოქნილი, პოზიტიური გარემო. საგნის ფარგლებში შეთავაზებული თემები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე, რომელთა მისაღწევად მუშავდება დიფერენცირების პრინციპით აგებული შუალედური შემოქმედებითი პროდუქტი,ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ზრდასა და ჩართულობას. 2025-2026 სასწავლო წელს გიმნაზიას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი,რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით ამოქმედდება. ინტერვიუებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ ინკლუზიურ სწავლებასა და დიფერენცირებულ მიდგომებს. საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი მეცადინეობები, ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლის მშობლებთან და დირექციასთან შეთანხმებით. **რჩევა:** სახელმწიფო ენის კათედრაზე (სამივე საფეხურზე)სასურველია, სხვადასხვა შესაძლებლობისა და ინტერესის მქონე მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ემპირიული მასალის საფუძველზე კათედრის წევრთა კოორდინირება; **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმოდგენილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ სამივე საფეხურზე.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რაც ითვალისწინებს იდეებისა და რესურსების მრავალფეროვნებას . თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. მათემატიკის კურიკულუმი, სამივე საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, შემოქმედებითი და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	გიმნაზია სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები არის წარმოდგენილი. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებს აქვთ მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომლებზეც მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე მუშაობის დროს ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2025-2026 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები შეფასდნენ, როგორც საშინაო და მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. გიმნაზიას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები შეფასების რუბრიკები დავალებების მიხედვით. **რჩევა:** მნიშვნელოვანია ყველა საგანში როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით (შეფასების კრიტერიუმებში მკაფიოდ უნდა წარმოჩნდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის შესაძლებლობა). ასევე შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობა მოსწავლეთათვის, რათა მათ უკეთ გააცნობიერონ მოლოდინები და საკუთარი პროგრესი. განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი იყოს უფრო კონკრეტული, კონსტრუქციული და დროული, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკაში გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნირებების ჯგუფში შემავალ საგნობრივ კურიკულუმებში სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები, რომელიც მოსწავლის შეფასების შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კომპლექსური ტიპის დავალებების შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმები მიმართულია გრძელვადიანი მიზნების, საკვანძო უნარებისა და სამიზნე ცნებების განვითარებისკენ, რაც ქმნის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის მნიშვნელოვან საფუძველს. შეფასების სისტემა ასევე ორიენტირებულია

	მოსწავლის პროგრესის, ჩართულობისა და მიღწეული შედეგების მრავალმხრივ შეფასებაზე. ასევე პედაგოგებმა წარმოადგონეს მრავალფეროვანი ზოგადი შეფასების რუბრიკებიც. **რჩევა :** სასურველია, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, დაგეგმილი სასწავლო პროცესი და შეფასების ინსტრუმენტები, ასევე აქტივობები თუ მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, ხელს უწყობს აქტიურ სწავლას, მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას და ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. ამასთან, ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კათედრაზე დაგეგმილია და პრაქტიკულადაც ხორციელდება სადიაგნოსტიკო ტესტირების/დავალების წარმოება, რაც დაეხმარება მასწავლებლებს გაანალიზონ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები და უკეთ დაგეგმონ ინდივიდზე მორგებული მხარდაჭერა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის და სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლის ესთეტიკური აღზრდის კათედრა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება (ხელოვნება, მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო), განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს იყენებს. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოადგინეს დოკუმენტაციის სახით. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს ძირითადად აფასებენ განმავითარებელი შეფასებით, ასევე აღნიშნეს, რომ მუშაობენ შემოქმედებითი დავალებების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების დახვეწაზე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში: ✓ სასურველია შეფასების კრიტერიუმები უფრო გაზომვადი გახდეს- ზოგიერთ ადგილას კრიტერიუმები ძალიან ზოგადია, მაგალითად, ,,აქტიურობა“ , ,,დროის ლიმიტის დაცვა“, ,,ჩართულობა“ , უმჯობესია დაზუსტდეს საგნობრივი სტანდარტის, თემის, საკითხის, სამიზნე ცნებების საფუძველზე; ✓ სასურველია, შეიქმნას და გამრავალფეროვნდეს რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული თემის/საკითხის/კომპლექსური/ შუალედური დავალების სამიზნე ცნებების/ქვეცნებების

	საფუძველზე, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები; ✓ სასურველია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს; ✓ სასურველია, გიმნაზიამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით; ✓ სასურველია შემაჯამებელი დავალებები მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას(დეკლარატიულს, პროცედურულს და პირობისეულს).
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. გიმნაზიაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, აგრეთვე, განმავითარებელი შეფასება - შესაბამისი რუბრიკებით. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით დონეების მიხედვით: დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი, მაღალი. შეფასების სისტემა მიმართულია ცოდნის სამივე კატეგორიის(დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) შემოწმებაზე. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. **რჩევა:** სახელმწიფო ენის კათედრაზე, სამივე საფეხურზე სასურველია, კათედრის წევრებმა უზრუნველყონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა გამრავალფეროვნება სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკებით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული და წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შეესაბამება მათემატიკის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	გიმნაზია იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ზუსტად ამოწმებს დავალების მოთხოვნას განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით გიმნაზია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე შეფასების რუბრიკის ნიმუში (ზოგადი, ცნებებთან მიმართებით აგებული და კონკრეტული, უშუალოდ დავალების კრიტერიუმებზე დაფუძნებული) რჩევა: სასურველია, მსგავსი ტიპის რუბრიკები გამოიყენოთ მოსწავლეთა ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიოდ გამოსაკვეთად და დასკვნის საფუძველზე შეიმუშაოთ ახალი დავალებები და აქტივობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *შეფასების სისტემა*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.*

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის თვითშეფასებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე ვასკვნით, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც გიმნაზია ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, სასწავლო პროცესის შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დოკუმენტაციით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ სასკოლო კურიკულუმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, იყენებს შესაბამის შეფასების ფორმებს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ დაგეგმვას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. გიმნაზიაში სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ემყარება კურიკულუმით განსაზღვრულ საგნებს, მიზნებს, შედეგებსა და აქტივობებს. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო საქმიანობები, მათ შორის დაგეგმილი აქტივობები და პროცესთან დაკავშირებული სამუშაო მიმართულებები, შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესი ორგანიზებულია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და კურიკულუმში აღწერილ მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა:** სასურველია, რომ სასწავლო პროცესში, საგანთაშორისი კავშირების გასაღრმავებლად, აქტიურად დაიგეგმოს ინტეგრირებული გაკვეთილები და სრულყოფილად აისახოს ისინი კურიკულუმებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება, მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)სასწავლო პროცესი წარიმართება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნათა სრული დაცვით, სადაც სწავლება ეფუძნება

	კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. პედაგოგები ფოკუსირებულნი არიან კურიკულუმით განსაზღვრულ თემებსა და საკითხებზე, ხოლო სწავლის პროცესის მთავარ ინსტრუმენტს შემოქმედებითი ტიპის დავალებები წარმოადგენს. შუალედური სასწავლო მიზნების რეალიზება მიმართულია მოსწავლის მიერ ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებაზე, რაც გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და საფეხურებრივ შედეგებზე გასვლის გარანტიაა. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** **რჩევა :** **სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში:** ✓ სასურველია შესთავაზოთ მოსწავლეებს არჩევანი შემოქმედებითი დავალების პროდუქტის სახეობაში (მაგ: ესსე, პოსტერი, ციფრული პრეზენტაცია და სხვ.), რათა მათ საკუთარი შესაძლებლობების საუკეთესოდ რეალიზება შეძლონ; ✓ დავალების პირობა სასურველია მაქსიმალურად მიუახლოვდეს მოსწავლის რეალურ ცხოვრებას. მაგალითად, ეპოქის სწავლისას, რესურსად გამოიყენოს ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატი ან სოფლის/ქალაქის მატერიალური/არამატერიალური კულტურის ძეგლები და სხვ.
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომლის შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. საფეხურის კურიკულუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: საგნობრივ კურიკულუმებს; სასკოლო პროექტებს; სადამრიგებლო საათს, სასწავლო კალენდარს, შეფასების სისტემას. სამივე საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გიმნაზიაში მიმდინარე ძირითად, დამხმარე და მმართველობითი პროცესები, რომლებიც აღწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ გრძელვადიანი მიზნების როლი და საჭიროება. გარდა საგნების სწავლებისა, გიმნაზია ყურადღებას ამახვილებს არაფორმალურ განათლებაზე და გეგმავს სხვადასხვა აქტივობებისა და წრეების მუშაობის საკითხებს. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა აქტიურობა. ზემოთქმულს გიმნაზია ადასტურებს საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, სასწავლო პროცესის შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების დოკუმენტაციით. **რჩევა** :სახელმწიფო ენის კათედრაზე, ყველა საფეხურზე სასურველია, კათედრის ოქმთა ნუმერეცია ჩატარებული სხდომის რიგითობასთან შესაბამისობაში დაკორექტირდეს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებაში შესაბამისია.შერჩეულია კომპლექსური და შემოქმედებითი დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები,თუმცა შესაძლებელია იდეებისა და აქტივობების გამრავალფეროვნება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე. კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. სამივე საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესის დაგეგმვა განხორციელებულია კურიკულუმის შაბლონის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ სტრუქტურულ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესი ორგანიზებულია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და კურიკულუმში აღწერილ მიზნებსა და ამოცანებს. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სწავლების პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს, და ასწავლიან შესაბამისად დაგეგმილი თემატური ერთეულების თანმიმდევრობით.საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა. კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება, სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, რაც ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დადასტურდა ინტერვიუს დროსაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

გიმნაზია მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. იგი ახორციელებს საჭიროებების დადგენას; შემდგომ კი - შესაბამის რეაგირებას გამოვლენილ საჭიროებებზე, რაც ასახულია სასკოლო გარემოს, კურიკულუმის, შემოქმედებითი დავალებების, ცალკეული აქტივობებისა და დამხმარე რესურსების მოდიფიცირებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კურიკულუმები, კათედრის ოქმები, თვითშეფასების კითხვარი და სხვა) და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რჩევა: საბუნებისმეტყველო კათედრაზე, ყველა საფეხურზე სასურველია თუ მასწავლებლები სასწავლო პროცესში უფრო ატიურად დანერგავენ ურთიერთდასწრების და ურთიერთშეფასების პრაქტიკას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალი საგნები სამივე საფეხურზე იყენებს, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, ასევე აქტიურად მიმართავენ თვითშეფასებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას.პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს ,რომ შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული რუბრიკებისა და სტანდარტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასების შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა პროგრესის ანალიზისა და სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, იკვეთება, რომ გიმნაზიას აქვს მზაობა საკუთარი გამოცდილების გაანალიზებაზე დაყრდნობით, შეიმუშაოს შეფასების მოქნილი სისტემა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებისთვის უმეტესად ნათელია რა პრინციპითაა შერჩეული შეფასების ინსტრუმენტი და რამდენად შეესაბამება იგი სასწავლო მიზნებს. აგრეთვე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აპირებენ, რომ კიდევ უფრო ინტენსიურად მოხდეს მოსწავლეთა ჩართულობით შეფასების სქემების შემუშავება და წარმოება, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. ამასთან, კათედრის წევრებს, უმეტესად, მკაფიო წარმოდგენა აქვთ შეფასების ვალიდურობაზე და ამის უზრუნველსაყოფად, რუბრიკებში დეტალურად აღწერენ ზუსტად იმას, რისი შეფასებაცაა განსაზღვრული და რა მოლოდინია მოსწავლისგან კონკრეტულ თემასთან (და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრამ(სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება, მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორის დამამტკიცებული დოკუმენტაცია (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები) რუბრიკები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. **რჩევა :** **სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში:** ✓ სასურველია, შემუშავდეს თემის/ საკითხის/ შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს; ✓ სასურველია შეფასება ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს;

	✓ შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	გიმნაზიის თვითშეფასებაში ვეცნობით, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების მხრიდან მის აღქმა-გააზრებას. მასწავლებლები შეიმუშავებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ რუბრიკებს და აცნობენ მოსწავლეებს, რაც განაპირობებს შეფასების სამართლიანობასა და გამჭირვალობას. კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს მათ რეფლექსიას სწავლის პროცესზე. კრიტერიუმების წინასწარ ცოდნა ხელს უწყობს მოსწავლეებში შეფასების სანდოობისა და ვალიდურობის გაზრდას. მასწავლებლები განმავითარებელ კომენტარებს გასცემენ , როგორც ზეპირი, ისევე წერილობითი სახით. აქვე უნდა ითქვას, რომ გიმნაზია მუშაობს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმზე. არსებული დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **რჩევა:** სახელმწიფო ენის კათედრაზე,ყველა კათედრაზე სასურველია, შემაჯამებელ დავალებათა მიზანი გაიწეროს სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში; შეფასების რუბრიკებში (20 ქულიანი) დაზუსტდეს ქულის დაკონვერტირების ინსტრუქცია; საფუძვლიანი უკუკავშირის მიზნით, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული შეფასების ზოგადი რუბრიკები, კონკრეტული სასწავლო მასალით დაზუსტდეს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.**
მათემატიკა	სკოლის შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების შეფასების პროცესის ორგანიზებას. შემუშავებულია შეფასების ძირითადი კრიტერიუმები და მექანიზმები,რომლებიც პასუხობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს. შეფასების პროცესი უზრუნველყოფს ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას. გიმნაზიაში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება,რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალურ შეფასებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ შეფასების რუბრიკები შექმნილია და შერჩეულია თემების მიხედვით, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია მრავალკომპონენტიანი განმავითარებელი და განმსაზღრელი შეფასების რუბრიკები. შეფასება ზუსტად ასახავს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სკოლის პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული მოსწავლეთა შეფასების თავისებურებები. შეფასების რუბრიკებში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებმა იციან ,თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. რათა უზრუნველყოფილი იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწვალის მიმართ , რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

გიმნაზიას შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სასწავლო წლის ბოლოს დაგეგმილი აქვს, გამოიყენოს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის გეგმაც შემუშავებულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

გიმნაზია შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს სათანადოდ ინახავს არანაკლებ სამი წლის ვადით, კერძოდ, სემესტრულ და წლიურ შეფასებებს მატერიალური და ელექტრონული სახით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამივე საფეხურის კურიკულუმი;
- გიმნაზიის სასწავლო ნაწილის მოხსენებითი ბარათი შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით;
- შემაჯამებელი დავალებები შესაბამისი ანალიზის ფორმებით;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში თითოეულ თემასთან მიმართებით განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები და ელექტრონული ბმულები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ სამივე საფეხურზე განსაზღვრილია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები და სხვადასხვა სასკოლო აქტივობა ადასტურებს, რომ სწავლის პროცესში ინტეგრირებულია მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც მიმართულია სასწავლო მიზნებისა და ეფექტიანი შედეგების მიღწევაზე. ამისთანავე, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება პროექტული სწავლება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა ჩართულობას სხვადასხვა თემატური პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებას, გუნდური მუშაობის გაძლიერებას, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას რეალურ კონტექსტებში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა გამოყენებული რესურსი სრულად არ არის ასახული წერილობით კურიკულუმებში, რაც გარკვეულწილად ართულებს რესურსების სისტემურ დაგეგმვასა და სრულყოფილ აღქმას. **რჩევა** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სასურველია, „მე და საზოგადოების“ და გეოგრაფიის კურიკულუმებში(საბაზო და საშუალო საფეხურზე)მკაფიოდ მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და გამოვლინდა ინტერვიუს დროს. აღნიშნული გაუმჯობესებს კურიკულუმის პრაქტიკულობას და ხელს შეუწყობს რესურსების გააზრებულ გამოყენებას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმებში განსაზღვრულია ის ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც გამოიყენება სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

	ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება, მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) ინტეგრირებულია, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითად სასწავლო წყაროს გრიფირებული სახელმძღვანელოები წარმოადგენს. რესურსების შერჩევის პროცესში პრიორიტეტულად არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად, კათედრა აქტიურად იყენებს როგორც გრიფირებულ და დამატებით ლიტერატურას, ისე მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებსა და „ტელესკოლის“ საგანმანათლებლო გაკვეთილებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე არადაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში: ✓ სასურველია პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ყველა ელექტრონული ბმულის ფუნქციურობა; ✓ სასურველია შეიქმნას „ალტერნატიული რესურსების ბაზა“, რათა ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში გაკვეთილის/შუალედური დავალების აქტივობის დინამიკა არ დაირღვეს; ✓ ნებისმიერი დამატებითი რესურსი (ვიდეო, ფოტო, სტატია) სასურველია უკავშირდებოდეს სამიზნე ცნების კონკრეტულ ქვეცნებას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში ვეცნობით, რომ კურიკულუმებში განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი არჩეულია სასწავლო კათედრების მიერ, პედაგოგთა უშუალო მონაწილეობით. საგნობრივ კურიკულუმებში ძირითადი - გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოებია, გამრავალფეროვნების მიზნით კი (სამივე საფეხურზე) მასწავლებლები იყენებენ თვალსაჩინოებებს, პლაკატებს, მაკეტებს, ელ.რესურსებს. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის გამოყენება სასწავლო პროცესში დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით, სასწავლო პროცესზე დაკვირვებით და თემის ფარგლებში გაკეთებული რეფლექსიებით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.**

მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები საჭიროებს კომპიუტერებს ,ინტერვიუს დროს ეს საკითხი მკაფიოდ გამოვკვეთე.დადგინდა რომ გიმნაზიას გააჩნია საკმარისი კომპიუტერები რაც საჭიროა შესაბამისი დადგენილი აქტივობებისთვის.ასევე აქტიურად ხდება მათი მიზნობრივად გამოყენება.გიმნაზია დასახელებულ სხვა რესურსებსაც ფლობდა და მიზნობრივად ხდება მათი გამოყენება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს, მიზანს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია ელ. მასალები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქტიურად ხდება დამხმარე რესურსების გამოყენებაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გიმნაზიას მითითებული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. თემები და საკითხები მიჰყვება ძირითად რესურს სახელმძღვანელოებს და შესაბამისობაშია სტანდარტის თემებთან. ძირითადი სახელმძღვანელობის გარდა, შემოქმედებითი დავალების განხორციელების მიზნით, კათედრა იყენებს დამატებით ელექტორნულ რესურს, რომელიც გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. შერჩეული დამხმარე რესურსი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღწერეს თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ. **რჩევა:** საბუნებისმეტყველო კათედრაზე, ყველა საფეხურზე გიმნაზიას შეუძლია შექმნას მექანიზმი, რომლის საფუძველზეც შეფასდება რესურსების სანდოობა, შინაარსობრივი შესაბამისობა და ასაკობრივი ადეკვატურობა. მსგავსი დოკუმენტის არსებობა გაზრდის პროცესის გამჭვირვალობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრაზე **სამივე საფეხურზე** სასწავლო რესურსები ფასდება მათი შესაბამისობის მიხედვით ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან. არსებული დამხმარე რესურსები თანხვედრაშია შესაბამისი საგნობრივი სასწავლო გეგმების მოთხოვნებთან.პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს,რომ რესურსების შერჩევის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი, რასაც მოწმობს საზოგადორბივი მეცნირებების კათედრის პირველი ოქმი (05.09),ასევე რესურსების გამოყენებამდე ხდება განხილვა და შეთანხმება სკოლის ადმინისტრაციასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	დამხმარე სასწავლო რესურსი ვალიდირებულია სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება, მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) სწავლებისას გიმნაზია პრიორიტეტს ანიჭებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც პირდაპირ აისახება საგაკვეთილო პროცესის ეფექტიანობასა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა დაცვაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ, ხოლო მათი მიზნობრიობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან წინასწარ არის განხილული კათედრის სხდომებზე. სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალებიდან, არხებიდან და პლატფორმებიდან მოძიებული მასალების სისტემური შერჩევა და კოლეგებთან განხილვა ადასტურებს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის თვითშეფასებაში ვეცნობით,რომ საგნობრივ კურიკულუმებში დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, რომელიც შემდეგ სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია, შესაბამისი დასაბუთებით განიხილება საგნობრივ კათედრებზე და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. არსებული დოკუმენტაციის გათვალისწინებითა და მასწავლებელთა ინტერვიუებისას მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ გიმნაზია უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურსთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.**
მათემატიკა	გიმნაზია ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათ შესაბამისობის შემოწმებას სასწავლო მიზნებთან, სტანდარტებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან. ამისათვის გიმნაზია იყენებს სისტემატურ მიდგომას, რომელიც მოიცავს რესურსების შერჩევას, შეფასებას და გამოყენებამდე მათ

	გასინჯვას. მასწავლებლები ჩართულნი არიან ამ პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ რესურსები ხარისხიანია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები,ინტერესები,საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო,ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები,რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხს,მიზანს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამატებითი რესურსების შინაარსობრივი შესაბამისობის შეფასებას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ასევე მათ პრაქტიკულ გამოყენებადობასა და და მოსწავლეთა საჭიროებებზე ადაპტირების ხარისხს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გიმნაზიას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. **რჩევა:**ბუნებისმეტყველების კათედრაზე საბაზო და საშუალო საფეხურზე ლაბორატორიის სივრცის კეთილმოწყობა უსაფრთხოების წესების დაცვით, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების-ჩვევების განვითარებას, მათ მოტივაციის ამაღლებასა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	

	პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს,რომ დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე ყველა საგანში შექმნილი დამატებითი რესურსები, სახელმძღვანელოს გარდა, ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. ეს რესურსები მოიცავს სხვადასხვა დამხმარე მასალას, როგორიცაა თემატური რუკები, ილუსტრაციები და სხვა ვიზუალური რესურსები, რომლებიც გამოიყენება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე დამოუკიდებელი მუშაობისას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის პროცესის მხარდაჭერას.აღნიშნული ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ცოდნის განმტკიცებას და სასწავლო მასალის უკეთ გააზრებას, რაც დადებითად აისახება კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრაზე, სამივე საფეხურზე, უზრუნველყოფილია საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება, მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია ადეკვატური მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით. მათი შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის სივრცითი და მატერიალური შესაძლებლობები, ისევე როგორც ადგილობრივი საგანმანათლებლო კონტექსტი. გიმნაზიაში არსებული რესურსული ბაზა სრულად შეესაბამება დასახულ სასწავლო მიზნებს და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლების პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორი, წიგნადი ფონდი, სხვა რესურსები. წვდომა ინტერნეტთან.) გიმნაზიის ინფრასტრუქტურა მორგებულია სწავლის ინკლუზიურ გარემოზე, გიმნაზიას აქვს პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას გიმნაზია უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსების გამოყენებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

	რაოდენობის გათვალისწინებით. ამისთვის გიმნაზიას გააჩნია აღჭურვილი საკლასო ოთახები შესაბამისი ინვენტარითა და ტექნოლოგიებით, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სპორტი	გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, ყველა მოსწავლე დატვირთულია მრავალფეროვანი აქტივობებით, პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამისია კლასში მოსწავლეთა რაოდენობის. რაც ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესი სრულფასოვნად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე გიმნაზია უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს** .

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

გიმნაზიას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი და კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი: მასწავლებლები, რომელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნიათ. გიმნაზიას არ ჰყავს სპეც.მასწავლებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შესაბამისი საგნობრივი კურუკულუმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული აქტივობების გეგმა კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით საგნობრივი კათედრების, კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების სამუშაო სხდომის ოქმი;

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

გიმნაზიის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში მუხლიN9 -ში ნათქვამია, რომ კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია. გიმნაზია ვალდებულია, ყოველწლიურად განაახლოს კურიკულუმი წინა წლის მონაცემების ანალიზის, მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მთელი წლის განმავლობაში, როგორც „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშია“ აღნიშნული, პედაგოგები სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს. აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე. პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას. ამ გამოცდილების საფუძველზე პედაგოგები სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

გიმნაზიის დირექცია და კათედრის წევრები ხშირად ესწრებიან კათედრაზე განხორციელებულ სასწავლო და სოციალურ აქტივობებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს და იძლევიან უკუკავშირს, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტური ხასიათისაა. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინება ხდება არა მარტო მოსწავლის აკადემიური მიღწევის, არამედ სოციალური და მატერიალური პირობების, საჭიროებების და სხვა. კათედრებზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შემდეგი სეფასების რუბრიკები: განმსაზღვრელი, განმავითარებელი, ურთიერთშეფასების, თვითშეფასებისა და სხვა. შეფასების რუბრიკების გამოყენება მიზნობრივად ხდება საგაკვეთილო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლების მიერ ხდება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინება, რაც მოსწავლეთა პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. შემდგომ კი ხდება ამ ინფორმაციის გათვალისწინება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდებ**

შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, რომ შეფასება იყოს ვალიდური, სანდო და ობიექტური.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

გიმნაზიაში მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს: მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მათ ფსიქო-ემოციურ ფონს და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის მეთოდოლია
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე გიმნაზია ყოველწლიურად ამზადებს რეკომენდაციების პაკეტს სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინა წლის გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაცია პედაგოგებისა და კათედრების მიერ ანალიზდება, ხოლო მიღებული შედეგები აისახება ახალ, განახლებულ კურიკულუმში, როგორც ეს განსაზღვრულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
25.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ქეთევან ბოტკოველი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. რუსუდან უსტიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ნინო ჭაუჭიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ნონა ხომასურიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).